

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)
წინააღმდეგ ბრძოლის 2013-2014
წლების სამოქმედო გეგმის
შესრულების ანგარიში

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული
ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო
საკოორდინაციო საბჭო

2015

სარჩევი

შესავალი	2
I. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია	3
II. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა.....	26
III. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა	30
IV. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება	36
V. თანამშრომლობის გაძლიერება და შიდა კოორდინაცია.....	43

შესავალი

ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქვეყანაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საქართველოში აქტიურად ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობას, ამ დანაშაულის ეფექტურ გამოძიებას, სისხლის სამართლებრივ დევნას, მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის ეფექტური დახმარების აღმოჩენას, მათ საფუძვლიან რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

ტრეფიკინგთან ეფექტური ბრძოლის მიზნით 2006 წელს 1 სექტემბრის საქართველოს პრეზიდენტის #534 ბრძანებულებით ინსტიტუციურ დონეზე შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო (*შემდგომში* - საბჭო), რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. 2014 წლის 10 აპრილის მთავრობის #281 დადგენილებით ხელახლა დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობა და მისი დებულება.

საბჭო კოორდინაციას უწევს ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო უწყებების მუშაობას, მონიტორინგს ახორციელებს ეროვნული სამოქმედო გეგმის ჯეროვან შესრულებაზე, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, დანაშაულის პრევენციისა და სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოების მიზნით შეიმუშავენ რეკომენდაციებსა და საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე ამზადებს პერიოდულ და საბოლოო ანგარიშებს.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურად განხორციელების მიზნით 2013 წლის 15 მარტს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2013-2014 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა (*შემდგომში* - *სამოქმედო გეგმა*).

სამოქმედო გეგმა დაეფუძნა საერთაშორისოდ აღიარებული 4P-ს პრინციპს:

1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია;
2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა;
3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი დევნა;
4. თანამშრომლობა;

აღნიშნული პრინციპების შესრულების მიზნით სამოქმედო გეგმაში გაიწერა შესაბამისი ამოცანები, საქმიანობა, პასუხისმგებელი უწყებები, პარტნიორი ორგანიზაციები, კონკრეტული საქმიანობის შერულების ვადები და მათი შეფასების ინდიკატორები.

სამოქმედო გეგმაში დიდი ყურადღება დაეთმო ტრეფიკინგის თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კომპონენტსა და ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე პირების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პროფესიული ტრენინგების ჩატარებას.

გასული წლების ეროვნული სამოქმედო გეგმებისაგან განსხვავებით, 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის სიახლეს წარმოადგენს საქმიანობის განხორციელებაში პარტნიორი ორგანიზაციების მითითება, რაც ერთი მხრივ, ხაზს უსვამს სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის მნიშვნელობას, ხოლო მეორე, მხრივ მკაფიოდ გამოყოფს, რომ სამოქმედო გეგმის შესრულებაზე მთლიანი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს.

I. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია

საქართველოს მთავრობა აქტიურად განაგრძობს ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებასა და ამგვარ აქტივობებში მონაწილეობის მიღებას. აღნიშნულთან დაკავშირებით **სამოქმედო გეგმის პირველი მიზანი** ითვალისწინებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის კუთხით პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

1.1.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემის სწავლების დანერგვა ზოგად საგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

სამოქმედო გეგმის 1.1.1. საქმიანობა უკავშირდება ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ სწავლების დანერგვას. აღსანიშნავია, რომ ძალადობასთან (მათ შორის, ტრეფიკინგი, ოჯახში ძალადობა და სხვა) ბრძოლის თემა მნიშვნელოვნადაა გაშუქებული 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების ყველა საგნობრივ პროგრამაში - სამოქალაქო განათლება, ისტორია, გეოგრაფია, ასევე ამ პროგრამების შესაბამისობით შექმნილ სახელმძღვანელოებში; კერძოდ:

1. სამოქალაქო განათლების IX კლასის სახელმძღვანელოში (**თანავტორები:** თამარ მეიფარიანი, ლეილა მიქიაშვილი, ირინე ჯალაღანია, მაია გონაშვილი, მიხეილ თოქმაზიშვილი, დალი შავლობაშვილი და რუსუდან დალაქიშვილი, **გამომცემლობა:** შპს „საქართველოს მაცნე“, 2012 წ.) მე-6 თემის სახელწოდებაა „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) – მონობის თანამედროვე ფორმა“ (გვ. 19);
2. სამოქალაქო განათლების IX კლასის სახელმძღვანელოში (**თანავტორები:** ნინო ტალახაძე, თამარ ქალდანი, თამარ ბრეგვაძე და ივანე პეტრიაშვილი.

გამომცემლობა: „სიდი“, 2012 წ.) ტრეფიკინგის თემა ასახულია ორ გაკვეთილში: 44. ტრეფიკინგი – მონობის თანამედროვე ფორმა (გვ. 111); 45. უსაფრთხო მიგრაცია (გვ. 115);

3. სამოქალაქო განათლების X კლასის სახელმძღვანელოში (**თანაავტორები:** ნინო ტალახაძე, თამარ ქალდანი, თამარ ბრეგვაძე და ივანე პეტრიაშვილი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013 წ.) ტრეფიკინგის თემას სამი გაკვეთილი ეძღვნება: 18. ახალგაზრდობა – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) რისკის ჯგუფი (გვ. 38); 19. ახალგაზრდების ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის რისკფაქტორები (გვ. 41); 20. ვინ და როგორ ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი (გვ. 44).

გარდა ზემოაღნიშნული გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოებისა, მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები IX და X კლასებისათვის სათაურით „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“, რომლებიც ორ-ორი საგაკვეთილო თემისაგან შედგება. სახელმძღვანელოები გამდიდრებულია ვიდეორესურსითაც და თან მოჰყვება სპეციალური ცნობარი მშობელთათვის. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) ეს და სხვა საინტერესო მასალა ტრეფიკინგის შესახებ განათავსა ვებგვერდებზეც: www.iom.ge და www.informedmigration.ge.

ამასთან, „2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიის ფარგლებში, გადამუშავდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტები. რევიზიის შედეგად, გადაწყდა, რომ დაწყებით საფეხურზეც დაემატოს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის საგანი - „მე და საზოგადოება“, ეს საგანი დაინერგება III-IV კლასებში და დაეთმობა თითო-თითო აკადემიური საათი.

მრავალ სხვა საკითხთან ერთად, აღნიშნული საგანი მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, უფლებების დაცვის მექანიზმები და საშუალებები საქართველოში, უსაფრთხოება, პირადი უსაფრთხოება, ვის და როგორ მიმართოს საფრთხის შემთხვევაში, ძალადობა და სხვა.

2015 წელს გაგრძელდება ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია საბაზო და საშუალო საფეხურებზე. იგეგმება საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის კომპონენტის გაძლიერება და გარკვეულ საკითხებზე მეტი აქცენტის გაკეთება, როგორებიცაა: გენდერი, დანაშაულის პრევენცია, უსაფრთხოება და სხვა.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტრეფიკინგთან დაკავშირებული თემატიკის სწავლება

72 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან 3 უნივერსიტეტში სილაბუსები არსებობს შემდეგი სახელწოდებით: 1. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), 2. ტრეფიკინგის

იურიდიული ბუნება, 3. ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა და კანონმდებლობა (ისწავლება არჩევით საგნად).

ასევე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საკითხების სწავლება წარმოდგენილია სასწავლო კურსის ერთ-ერთ საკითხად როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებზე. საბაკალავრო პროგრამაზე: 1. სისხლის სამართლის კერძო ნაწილში (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ) ტრეფიკინგს ეთმობა საათების გარკვეული რაოდენობა; 2. დემოკრატია და მოქალაქეობა (ტრეფიკინგის საკითხები წარმოდგენილია თავისუფალი კრედიტების სახით); 3. საეკლესიო სამართალი; 4. სამართლის საფუძვლები; 5. ადამიანთა უფლებები; 6. გლობალიზაცია, 7. საერთაშორისო უსაფრთხოება; 8. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი; სამაგისტრო პროგრამაზე (5 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში): 1. ტრანსნაციონალური დანაშაული, 2. ორგანიზაციული დანაშაული – პრევენციის მიმართულებები, 3. ბრძოლა ტრეფიკინგისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, 4. ტრანსნაციონალური დანაშაულის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება; 5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე დაიწერა ერთი სადოქტორო თემა და შემდგომ გამოიცა წიგნის სახით: „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება“ (ავტორი: მიხეილ ბაძაღუა; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი); გამოქვეყნებულია მონოგრაფია „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ტრეფიკინგისთვის“ (ავტორი: დოდო ჯულუხაძე; სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“).

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2014 წლის მარტი-მაისის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიცირებით ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესების ტურნირი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე. პროექტი განხორციელდა საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, საქართველოს სახალხო დამცველის, ა/ო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და ა/ო სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა) მხარდაჭერით. პროექტის შესახებ ინფორმაცია განთავსებულ იქნა როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (<http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/364>), ისე სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის (<http://tcj.gov.ge/?p=1252>) ოფიციალურ ვებ-გვერდებზე. ასევე, ინფორმაციის გავრცელების მიზნით, საინფორმაციო პოსტერები გამოკრულ იქნა თბილისისა და რეგიონების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. იმიტირებული სასამართლო პროცესების ტურნირში 40-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა თბილისის, გორისა და ქუთაისის 8 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

1.1.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო სტრატეგიის შემუშავება

სამოქმედო გეგმის 1.1.2 საქმიანობა ეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო სტრატეგიის შემუშავებას. ამ მიზნით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა ტრეფიკინგთან ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო სტრატეგია. საინფორმაციო კამპანიის კონცეფცია მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის საფრთხეების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციის მიწოდების სწორი საშუალებებისა და გზების შერჩევას.

საინფორმაციო სტრატეგიის ფარგლებში განისაზღვრა სამიზნე ჯგუფები, კამპანიის გეოგრაფიული არეალი, საინფორმაციო კამპანიის მეთოდოლოგია და რესურსები. აღნიშნული საინფორმაციო სტრატეგიის ეფექტური განხორციელების მიზნით შემუშავდა სტრატეგიის იმპლემენტაციის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო სტრატეგია დამტკიცდა საბჭოს მიერ 2014 წლის 12 თებერვალს.

1.1.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო ვიდეო რგოლის დამზადება და გაშვება მედიის საშუალებით

1.1.4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო რადიო რგოლის დამზადება

სამოქმედო გეგმის 1.1.3 და 1.1.4. საქმიანობების შესაბამისად, რომლებიც ეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) შესახებ საინფორმაციო ვიდეო და რადიო რგოლების დამზადებასა და შესაბამისი მედიის საშუალებით გავრცელებას 2013-2014 წლების საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. საინფორმაციო გადაცემები სხვადასხვა ტელევიზიაში:

- გადაცემა „იმედის შუადღე“ მიეძღვნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემას, მსხვერპლთა დაცვისა და რეფერირების მექანიზმებს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში - ფონდი) წარმომადგენელმა, აგრეთვე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებმა, რომლებმაც ისარგებლეს ფონდის სერვისებით;
- 2013 წლის 25 მარტს საზოგადოებრივ მაუწყებელზე (მაცნე) თემა მიეძღვნა ტრეფიკინგს;
- 2013 წლის 2 ივლისს ტელეკომპანია იმედზე, გადაცემაში „იმედის დღე“ ფონდის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრობლემურ საკითხებზე;
- ფონდის საქმიანობის შესახებ სიუჟეტები მომზადდა შემდეგ არხებზე: ტელეკომპანია „იმედი“, „დღის შოუ“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ გადაცემა - „ჩვენი დილა“.

- ტრეფიკინგის თემას დაუთმეს ეთერი ტელე-რადიოკომპანიებმა:

რადიო

- ✓ რადიო MED.FM, საზოგადოებრივი რადიო, გადაცემა „პიკის საათი“, „მიგრაციის მარშრუტები“;
- ✓ „საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიომ“ გადაცემა მიუძღვნა ტრეფიკინგს. ფონდის საქმიანობის შესახებ გადაცემები გავიდა ასევე „საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოს“, „მწვანე ტალღისა“ და „პალიტრას“ ეთერებით;
- ✓ ადამიანით ვაჭრობის შესახებ აუდიორგოლი გადიოდა ასევე საზოგადოებრივი რადიოსა და აჭარის რადიოს ეთერში.

ტელე და რადიო გადაცემებში მონაწილეობდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

2. სატელევიზიო რგოლები

2013-2014 წლის საანაგრიშო პერიოდში ფონდის მიერ დამზადებული იქნა საინფორმაციო რგოლები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე, რაც გაშვებული იყო შემდეგ არხებზე:

- საზოგადოებრივი ტელევიზია;
- მეორე არხი;
- აჭარის ტელევიზია.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ რეგიონალურ ტელევიზიებში, ასევე პირველი არხის ეთერში, პერიოდულად გადიოდა ტრეფიკინგის პრევენციული სარეკლამო რგოლები;

- 2014 წლის მარტიდან სამი თვის განმავლობაში საზოგადოებრივ მაუწყებელსა და აჭარის ტელე-რადიო კომპანიის ეთერში ტრიალებდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ცხელი ხაზის სარეკლამო რგოლი;
- ფონდის მიერ დამზადებული ვიდეო-აუდიორგოლები გაშვებული იყო 2013 წლის ნოემბერში;
- 2014 წლის ნოემბერში იმედის, რუსთავი 2-ის, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და აჭარის ტელევიზიების ეთერში გავიდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან კონსულტაციების შედეგად შექმნილი ვიდეო რგოლი, რომელიც ეხება ტრეფიკინგის პრევენციისა და მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის საკითხებს.

საერთო ჯამში, ტრეფიკინგის პრევენციული სახის სარეკლამო რგოლები გავიდა შემდეგ არხებზე:

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი;

2. საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხი;
3. აჭარის ტელე-რადიოკომპანია;
4. ტელეკომპანია „იმედი“;
5. ტელეკომპანია „რუსთავი 2“.

1.1.5. ბეჭდვითი საინფორმაციო მასალის (ფლაერების) დამზადება და გავრცელება იუსტიციის სახლებში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, ასევე, საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში (მათი თანხმობის შემთხვევაში), დიასპორული ორგანიზაციებში, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, საზოგადოებრივ ცენტრებსა (სოფლის სახლები) და სხვა მაღალი რისკის რეგიონებში

სამოქმედო გეგმის 1.1.5 საქმიანობის შესაბამისად, რომელიც ეხება ბეჭდვითი საინფორმაციო მასალის (ფლაერების) დამზადებასა და საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებსა თუ მაღალი რისკის შემცველ ადგილებში გავრცელებას, ცნობიერების ამაღლების მიზნით, შემდეგი საქმიანობები იქნა განხორციელებული სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ:

ა) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

- ✓ შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, ფონდისა და სხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით გავრცელებულ იქნა სამეზობლო ბროშურა ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის და მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ. 5000 ბროშურა გავრცელებული იქნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში;
- ✓ სახელმწიფო ფონდისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდის“ ურთიერთთანამშრომლობის შედეგად საინფორმაციო სახის ბროშურები გავრცელდა მოხალისეთა ყოველწლიურ გამოფენაზე, სადაც მოწვეული იყო სხვადასხვა არასამთავრობო ქართული/უცხოური ორგანიზაცია.
- ✓ ფონდისა და მშვიდობის კორპუსის თანამშრომლობის შედეგად საინფორმაციო სახის შეხვედრები ჩატარდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში და დარიგდა ბროშურები;
- ✓ ტრეფიკინგის თემაზე ინფორმაცია გავრცელდა ასევე ბეჭდვით მედიაში; კერძოდ - გაზეთ „ყველა სიახლეში“ სტატია მიემდგვნა სექსუალურ ტრეფიკინგს, რომლის ავტორიც იყო ფონდის დირექტორი. ტრეფიკინგის შესახებ სტატიები დაიბეჭდა ასევე ჟურნალ „გზაში“, წალკის გაზეთში, სააგენტო ექსპრესნიუსში.

ბ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ტრეფიკინგის პრევენციის თვალსაზრისით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ხელს უწყობს/ავრცელებს ტრეფიკინგის, არალეგალური მიგრაციისა და ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე საინფორმაციო ბროშურებს.

- ✓ პროექტის "ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ ცოდნის გაღრმავება განათლების ხელშეწყობის გზით" ფარგლებში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელშეწყობით დამზადდა საინფორმაციო ბროშურა. ტრეფიკინგის საფრთხეებისა და შესაბამისი საკონსულო დახმარების გაწევასთან დაკავშირებით (რჩევები საზღვარგარეთ წასვლის მსურველთათვის) საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ხელშეწყობით აღნიშნული ბროშურები გასავრცელებლად მიეწოდა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებს, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე გასავრცელებლად.
- ✓ საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით დამზადებულ იქნა საინფორმაციო ბროშურები (რჩევები საზღვარგარეთ წამსვლელთათვის). ბროშურა შეიცავს ინფორმაციას საკონსულო დახმარებისა და ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ.
- ✓ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, პერმანენტულად ხდება ბროშურაში მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის კორექტირება/განახლება.

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

სამოქმედო გეგმის 1.1.5. პუნქტის შესაბამისად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) შესახებ ბეჭდვითი საინფორმაციო მასალის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებისა და სასაზღვრო გამტარი პუნქტების მეშვეობით გავრცელების მიზნით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა და 2014 წლის მარტში დაიბეჭდა 100 000 ცალი ხუთენოვანი (ქართული, ინგლისური, რუსული, თურქული და სპარსული) საინფორმაციო ბროშურა. 5.000 ცალი გადაეცა ტურიზმის ეროვნულ სააგენტოს, რომელმაც საინფორმაციო ბროშურები გაავრცელა თბილისის, გორის, ბათუმის, თელავის და ახალციხის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებსა და თბილისის, ქუთაისის და ბათუმის აეროპორტებში.

2014 წლის აპრილი-დეკემბრის პერიოდში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 35 000 ცალი ფლაერი დარიგდა აჭარის ტერიტორიაზე, კერძოდ, სარფში, ასევე სასაზღვრო გამშვები პუნქტის გარე პერიმეტრზე, ბათუმის აეროპორტში, ბათუმის ცენტრში, ჩაქვში და ქობულეთში. მიზნობრივი ჯგუფი მოიცავს როგორც უცხოელ, ასევე, ქართველ ტურისტებს, სატვირთო მანქანების მძღოლებს და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრებს (რკინიგზის სადგურები, ავტობუსის გაჩერებები). მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის

საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში, ფლაერები, ასევე, გავრცელდა საქართველოს ყველა რეგიონში.

ამავდროულად, 5,000 ცალი საინფორმაციო ბროშურა გავრცელებულ იქნა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მობილურობის ცენტრის საშუალებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

2014 წლის დეკემბერში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას გადასცა 40 000 ცალი ფლაერი (ოთხ ენაზე: ქართული, ინგლისური, რუსული და თურქული), რომლებიც გავრცელდება ტურიზმის ადმინისტრაციის საინფორმაციო ცენტრებში 2015-2016 წლების საანგარიშო პერიოდში.

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

შსს-მ შეიმუშავა დასაბეჭდი ბუკლეტების ტექსტი. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ სულ დაიბეჭდა 20,000 (ოცი ათასი) ცალი ბუკლეტი. აღნიშნული მასალა გავრცელდა თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების (შრომითი მიგრანტების) ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით როგორც თურქეთში, აგრეთვე სარფის სასაზღვრო გამტარ პუნქტზე.

საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაცია “ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობი საზოგადოების” თანამშრომლობით, 2014 წლის ივლისის თვეში, შეიმუშავდა და დაიბეჭდა 3100 ცალი ინფორმაციული ხასიათის ბროშურა რუსულ და თურქულ ენებზე. აღნიშნული ბროშურები განკუთვნილი იყო შუა აზიის მოქალაქეებისთვის ტრეფიკინგის და მის წინააღმდეგ მოქმედი სამართლებრივი მექანიზმების შესახებ მათთვის ინფორმაციის გასაგებ ენაზე მიწოდების მიზნით, რომელთა განთავსება მოხდა აჭარის რეგიონის საკურორტო ზოლის მიმდებარე გასართობ დაწესებულებებში. თურქულ ენაზე დაბეჭდილი საინფორმაციო ბროშურები განთავსდა სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე, სადაც სტატისტიკურად ხშირია თურქი მძღოლების მიერ საზღვრის კვეთის ფაქტები;

ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო ბროშურები ვრცელდებოდა საბჭოს მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეთა შორის;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროექტის გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაცია „მიგრაციის ცენტრის“ მიერ მომზადდა საინფორმაციო ბროშურები ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ და გავრცელებულ იქნა ბათუმში 2014 წლის აგვისტოში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“-ს ორგანიზებითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, საბჭოსა და მის წევრ უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით 2014 წლის მაისში მომზადდა ბიულეტენი „ინდივიდუალური დახმარება

ქართველ მიგრანტებს“ (G-PAM), რომელიც მთლიანად მიეძღვნა საქართველოში ადამიანით ვაჭრობის პოლიტიკას, ტრეფიკინგთან ბრძოლასა და თავის დაცვის საშუალებებს. ბიულეტენი ასევე ხელმისაწვდომია G-PAM-ის ოფიციალურ ვებ. გვერდზე: www.migrant.ge/geo/publication/mewsletter .

1.1.6. უნივერსიტეტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე დისკუსიების, საინფორმაციო შეხვედრებისა და კონფერენციების გამართვა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

სამოქმედო გეგმის 1.1.6. საქმიანობის შესაბამისად, რომელიც ეხება უნივერსიტეტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე დისკუსიების, საინფორმაციო შეხვედრებისა და კონფერენციების გამართვას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე, 2013 წლის 16 აპრილს ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტის ”საქართველოს სასკოლო განათლება ადამიანით ვაჭრობის პრევენციის სამსახურში” ფარგლებში ჩატარდა მრგვალი მაგიდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა, ასევე არასამთავრობო სექტორმა, უნივერსიტეტის პროფესორებმა და სკოლის მასწავლებლებმა.

ა/ო მიგრაციის ცენტრისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი პროექტის – „ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით თანატოლგანმანათლებელთა ბანაკი“ – მონაწილეებისათვის გამართულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ფონდისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა, რომელმაც მონაწილე სტუდენტებს ის სერვისები გააცნო, რომელთაც ფონდი ახორციელებს ტრეფიკინგის მსხვერპლი/დაზარალებული პირების მიმართ და ესაუბრნენ ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ.

ამასთან, 2014 წლის მარტი-მაისის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიცირებით ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესების ტურნირი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ. პროექტი განხორციელდა საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, საქართველოს სახალხო დამცველი, ა/ო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და ა/ო სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა) მხარდაჭერით. პროექტის შესახებ ინფორმაცია განთავსებულ იქნა როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (<http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/364>), ისე სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის (<http://tcj.gov.ge/?p=1252>) ოფიციალურ ვებგვერდებზე. ასევე, ინფორმაციის გავრცელების მიზნით, საინფორმაციო პოსტერები გამოკრულ იქნა თბილისისა და რეგიონების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. იმიტირებული სასამართლო პროცესების ტურნირში 40-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა თბილისის, გორისა და ქუთაისის 8 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

გარდა ამისა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში 2014 წლის 27 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია (ELSA) საქართველოს მიერ ორგანიზებულ იქნა ტრეფიკინგის თემაზე საინფორმაციო შეხვედრა თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტის 20 სტუდენტის მონაწილეობით.

დამატებით, 2014 წლის 2-5 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიისა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია (ELSA) საქართველოს ორგანიზებით მოეწყო სამართლის სკოლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტის 30-მა სტუდენტმა. მათ ინფორმაცია მიეწოდათ მიგრაციის მართვის პოლიტიკაზე, ადამიანით ვაჭრობის დანაშაულსა და მსხვერპლთა დაცვის სერვისებზე.

ასევე, 2014 წლის 27 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სტუდენტური ორგანიზაცია “საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის” ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა ტრეფიკინგის თემასთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტის 30-მა სტუდენტმა.

დამატებით, სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. სსიპ პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“ (ფოთი):

- 2014 წლის ივლისში მეწარმე ქალთა ფონდის ორგანიზებით პროფესიულ კოლეჯში „ფაზისი“ მოეწყო ღონისძიება თემაზე „ქალთა შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“, რომელიც მოიცავდა ტრეფიკინგის, ქალთა მიგრაციისა და სხვა საკითხებს;
- 2014 წლის ნოემბერში, პროფესიულ კოლეჯში "ფაზისი" გაიმართა ლექცია-სემინარი. რომელსაც ქალაქის პროკურორი უძღვებოდა (თემები: ოჯახური ძალადობა, ტრეფიკინგი და სხვ);
- 2014 წლის ნოემბრის თვეშივე ამავე თემას მიეძღვნა მეწარმე ქალთა ფონდის ორგანიზებით ჩატრებული ღონისძიება კოლეჯის პროფესიული სტუდენტების ჩართულობით.

2. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“ (თბილისი):

- 2014 წლის 11- 15 მარტს, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯში „სპექტრი“ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარდა სემინარი თემაზე: „სამოქალაქო საზოგადოებაში ტრეფიკინგის პრევენციის ზომების მიღება უცხოეთში სამუშაოდ“.

3. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ (გურჯაანი):

- გაიმართა შეხვედრები სტუდენტებთან ტრეფიკინგის თემაზე.

4. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ (თბილისი):

- 2014 წლის 11 დეკემბერს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში "მერმისი" გაიმართა სამუშაო შეხვედრა სტუდენტებთან, სადაც განხილული იყო მიგრაციისა და ტრეფიკინგის საკითხები.

5. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“ (ქობულეთი):

- 2014 წლის სექტემბერში კოლეჯის სტუდენტების საინიციატივო ჯგუფმა შექმნა პრეზენტაცია თემაზე: „არა ტრეფიკინგს“, რომელიც კოლეჯის ღია კარის დღის ღონისძიებაზე წარედგინა თანამშრომლებსა და სტუდენტებს.

6. სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“:

- კოლეჯის სტუდენტები ჩართულნი იყვნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის „ჯვარის სათემო განათლების ცენტრის“ მიერ განხორციელებულ ღონისძიებაში „კვირული ქალთა ძალადობის წინააღმდეგ“, რომელიც მოიცავდა ტრეფიკინგის საკითხებსაც.

სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს აქვს ინტერნეტგვერდი „www.mastavlebeli.ge“ რომელიც მასწავლებლებს, თუ განათლების საკითხებით დაინტერესებულ სხვა პირებს აწვდის აქტუალურ ინფორმაციას. აღნიშნულ პერიოდში ინტერნეტგვერდში გამოქვეყნდა სტატია "მიგრაცია, როგორც გლობალური პრობლემა" (სტატია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე http://www.mastavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=4&id=290), რომელიც მასწავლებლებისთვის მზა მასალაა გაკვეთილებზე გამოსაყენებლად.

გარდა ამისა, საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში არაერთი ღონისძიება დაიგეგმა და განხორციელდა:

- 2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის უნივერსიტეტების 12 სტუდენტს ჩაუტარდა „ტრენერთა ტრენინგი“ ადამიანით ვაჭრობის თემაზე. ტრენინგი მიზნად ისახავდა ტრეფიკინგის თემაზე სტუდენტების გადამზადებას, რომელთაც აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია უნდა გაეზრცელებინათ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეებში. ტრენინგი ორგანიზებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრის“, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მიგრაციის ცენტრის“ მიერ;
- 2014 წლის თებერვალში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა „ლიდერთა სახლის“ პროექტის ფარგლებში საქართველოს დიდ ქალაქებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ „იუსტიციის სახლის“, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრის“, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „მიგრაციის ცენტრის“ მიერ:
 - 2014 წლის 8 თებერვალს საინფორმაციო შეხვედრა მოეწყო იუსტიციის სასწავლო ცენტრში, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის სხვადასხვა სკოლის 19 მოსწავლე;

- 2014 წლის 15 თებერვალს ტრეფიკინგის თემაზე შეხვედრა გაიმართა რუსთავის სკოლების მოსწავლეებთან, სადაც 17 მოზარდი მონაწილეობდა;
- 2014 წლის 15 თებერვალს საინფორმაციო შეხვედრა იქნა ორგანიზებული ქუთაისის იუსტიციის სახლში 25 მოსწავლესთან;
- 2014 წლის 23 თებერვალს გურჯაანის იუსტიციის სახლში ტრეფიკინგის თემას მიეძღვნა საინფორმაციო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა 20 მოსწავლე;
- 2014 წლის 23 თებერვალს თელავის იუსტიციის სახლში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა 25 მოსწავლესთან;
- 2014 წლის 23 თებერვალს ტრეფიკინგის თემას მიეძღვნა საინფორმაციო შეხვედრა ბათუმის იუსტიციის სახლში, სადაც 17 მოსწავლე მონაწილეობდა.
- 2014 წლის თებერვალ-მარტში საბჭოს მიერ დატრენინგებულმა სტუდენტებმა არაერთი საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს ადამიანით ვაჭრობის თემაზე. შეხვედრები შედგა ბათუმში, ქუთაისში, ტყიბულში, გეგუთსა და თბილისში, სადაც მონაწილეობდა 330 მოსწავლე;
- 2014 წლის მარტში სამი საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა საბჭოს სამდივნოსა და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მობილურ ჯგუფებთან, რომელებიც ფუნქციონირებენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში. საბჭოს მხრიდან მობილურ ჯგუფებს მიეწოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკისა და თავის დაცვის საშუალებების შესახებ, ასევე, გადაეცათ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებში გასავრცელებელი მასალა;
- 2014 წლის 22 მარტს ტრეფიკინგის თემაზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა თბილისის სკოლების 20 მოსწავლესთან;
- 2014 წლის 5 დეკემბერს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა თბილისის №120 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებთან;
- 2014 წლის 17 დეკემბერს საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა თბილისის №1 საჯარო სკოლის მე-8, მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებთან. შეხვედრის მთავარ თემას წარმოადგენდა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და ოჯახში ძალადობა.

1.1.7. განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან, იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში, დიდი ზომის ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებებსა და მცირე საოჯახო სახლებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება უცხო ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის, მუშაობისა და ტრეფიკინგის რისკების შესახებ; ასევე აღნიშნული ინფორმაციის განთავსება ვებ-გვერდზე

სამოქმედო გეგმის 1.1.7. აქტივობის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან, იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში, დიდი ზომის ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებებსა და მცირე საოჯახო სახლებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას უცხო ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის, მუშაობისა და

ტრეფიკინგის რისკების შესახებ და აღნიშნული ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებას, აღსანიშნავია, რომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო სტრატეგია პირდაპირ მიმართულია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისათვის მათთვის მისაღები ფორმითა და საშუალებებით ტრეფიკინგის საფრთხეებისა და მისგან თავის დაცვის საშუალებებზე ინფორმაციის მიწოდებისაკენ. საინფორმაციო სტრატეგია განსაზღვრავს სამიზნე ჯგუფებს:

- საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები;
- მოქალაქეობის არმქონე პირები;
- უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები;
- საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსახლეობა;
- იძულებით გადაადგილებული პირები და კონფლიქტით დაზარალებული პირები;
- სოციალურად დაუცველი პირები;
- ქალთა მოწყვლადი ჯგუფები, მათ შორის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები;
- არასრულწლოვნები, მათ შორის, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები;
- სტუდენტები;
- ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები;
- მედიის წარმომადგენლები;

საინფორმაციო სტრატეგიის პარალელურად შემუშავდა საინფორმაციო კამპანიის სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინდივიდუალური შეხვედრები თითოეულ სამიზნე ჯგუფთან.

2014 წლის თებერვალი-დეკემბრის პერიოდში ტრეფიკინგთან ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში არაერთი ღონისძიება დაიგეგმა და განხორციელდა, შეხვედრები გაიმართა მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, ქუჩაში მომუშავე და ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან, სოფლის მოსახლეობასთან, ადგილობრივ მოსახლეობასა და იძულებით გადაადგილებულ პირებთან:

- 2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის უნივერსიტეტების 12 სტუდენტს ჩაუტარდა „ტრენერთა ტრენინგი“ ადამიანით ვაჭრობის თემაზე. ტრენინგი მიზნად ისახავდა ტრეფიკინგის თემაზე სტუდენტების გადამზადებას, რომელთაც აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია უნდა გაეზრცელებინათ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეებში. ტრენინგი ორგანიზებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრის“, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მიგრაციის ცენტრის“ მიერ;
- 2014 წლის თებერვალში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა „ლიდერთა სახლის“ პროექტის ფარგლებში საქართველოს დიდ ქალაქებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ „იუსტიციის სახლის“, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრის“, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „მიგრაციის ცენტრის“ მიერ;

- 2014 წლის 8 თებერვალს საინფორმაციო შეხვედრა მოეწყო იუსტიციის სასწავლო ცენტრში, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის სხვადასხვა სკოლის 19 მოსწავლე;
- 2014 წლის 15 თებერვალს ტრეფიკინგის თემაზე შეხვედრა გაიმართა რუსთავის სკოლების მოსწავლეებთან, სადაც 17 მოზარდი მონაწილეობდა;
- 2014 წლის 15 თებერვალს საინფორმაციო შეხვედრა იქნა ორგანიზებული ქუთაისის იუსტიციის სახლში 25 მოსწავლესთან;
- 2014 წლის 23 თებერვალს გურჯაანის იუსტიციის სახლში ტრეფიკინგის თემას მიემღვნა საინფორმაციო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა 20 მოსწავლე;
- 2014 წლის 23 თებერვალს თელავის იუსტიციის სახლში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა 25 მოსწავლესთან;
- 2014 წლის 23 თებერვალს ტრეფიკინგის თემას მიემღვნა საინფორმაციო შეხვედრა ბათუმის იუსტიციის სახლში, სადაც 17 მოსწავლე მონაწილეობდა.
- 2014 წლის 13 მარტს ადამიანთ ვაჭრობისა და უკანონო მიგრაციის საფრთხეებისა და თავის დაცვის საშუალებების შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა წალენჯიხაში, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები. შეხვედრა შედგა საბჭოს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და მიგრაციის ცენტრის მჭიდრო თანამშრომლობით;
- 2014 წლის თებერვალ-მარტში საბჭოს მიერ ტრენირებულმა სტუდენტებმა არაერთი საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს ადამიანთ ვაჭრობის თემაზე. შეხვედრები შედგა ბათუმში, ქუთაისში, ტყიბულში, გეგუთსა და თბილისში, სადაც მონაწილეობდა 330 მოსწავლე;
- 2014 წლის მარტში სამი საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა საბჭოს სამდივნოსა და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მობილურ ჯგუფებთან, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში. საბჭოს მხრიდან მობილურ ჯგუფებს მიეწოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკისა და თავის დაცვის საშუალებების შესახებ, ასევე, გადაეცათ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებში გასავრცელებელი მასალა;
- 2014 წლის 22 მარტს ტრეფიკინგის თემაზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა თბილისის სკოლების 20 მოსწავლესთან;
- 2014 წლის 29 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ა/ო „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს“ (cida) ორგანიზებით ტრეფიკინგის თემაზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა რუსთავში. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები და ადგილობრივი მოსახლეობა (20 მონაწილე) (<http://www.migrant.ge/geo/media/news/full/50>).
- 2014 წლის მარტიდან - დეკემბრის ჩათვლით ადამიანთ ვაჭრობისა და უკანონო მიგრაციის საფრთხეებისა და თავის დაცვის საშუალებების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა წალენჯიხაში, თელავში, ყვარელში, გურჯაანში, ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, ზუგდიდში, გორში, მარნეულში, ოზურგეთში, ტყიბულში, ფოთში, სენაკში, ქობულეთში, ბორჯომში, ახალციხეში, ფოკაში, სართიჭალაში, წყალტუბოში, მესტიაში, ბეჩოში, მარტვილში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, წალკაში,

საყდრიონში, ლანჩხუთში, ქარელში, რუისში, ხაშურში, გომში, წეროვანში, თბილისის სკოლა „ერუდიტი“ და კოლეჯებში „იკაროსი“ და „მერმისი“. შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები, მათ შორის რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები. საერთო ჯამში ჩატარდა 43 შეხვედრა 1410 პირის მონაწილეობით. შეხვედრები შედგა საბჭოს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, ა/ო „მიგრაციის ცენტრის“, სსიპ იუსტიციის სახლისა და საზოგადოებრივი ცენტრების მჭიდრო თანამშრომლობით.

გარდა ამისა, 2014 წლის 20-21 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის აკადემიისა და სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ ორგანიზებით ტრეფიკინგის თემაზე საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა „ISAF“-ის სამშვიდობო მისიაში მონაწილე 1600 მშვიდობისმყოფელისათვის.

დამატებით ავლნიშნავთ, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანიზებითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით 2013 წლის 5-6 დეკემბერს ქ. თბილისში გაიმართა რეგიონული კონფერენცია „ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ ცოდნის გაღრმავება აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ წარმომადგენლებმა. მათ სომეხ და აზერბაიჯანელ კოლეგებს გააცნეს საქართველოში არსებული ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა და განხორციელებული ღონისძიებები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ტრეფიკინგის საფრთხეებისა და მისგან თავის დაცვის საშუალებების, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებებისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, რომლის განახლება ხდება სისტემატურად <http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/309>.

გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“-ს მიერ იუსტიციის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით „ინდივიდუალური დახმარება ქართველ მიგრანტებს“ (G-PAM) პროექტის ფარგლებში მომზადებულ ვებ-გვერდზე ცალკე ადგილი დაეთმო ტრეფიკინგის ნაწილს, სადაც განთავსებულია ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, საქართველოში ადამიანით ვაჭრობის პოლიტიკას, პუბლიკაციები და ტრეფიკინგთან დაკავშირებული: www.migrant.ge/geo/trefiking.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ტრეფიკინგის ფაქტების პრევენციისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. ხსენებული ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია სამინისტროს ვებგვერდზეც http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=778

პრევენციის მიზნით, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ისე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ვებგვერდებზე განთავსებულია ინფორმაცია ტრეფიკინგის საკითხებზე.

საქართველოს მთავარი პროკურატურა

საქართველოს მთავარი პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ - <http://pog.gov.ge/geo/trafficking>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფრთხეებისა და თავის დაცვის საშუალებების შესახებ <http://police.ge/ge/projects/adamianit-vachroba>

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის განსაზღვრული სახელმწიფო სერვისების შესახებ <http://www.atipfund.gov.ge/>

1.1.8. შრომის კოდექსის გადახედვა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია

სამოქმედო გეგმის 1.1.8. აქტივობის შესაბამისად, რომელიც ეხება შრომის კოდექსის გადახედვასა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას, აღსანიშნავია, რომ 2012 წლის დეკემბრიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, ადგილობრივი ექსპერტების, პროფესიული კავშირების, არასამთავრობო და ბიზნესსექტორის ჩართულობით დაიწყო მუშაობა შრომის კანონმდებლობის სისტემურ და კონცეპტუალურ რეფორმაზე. საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმწიფოთა გამოცდილების საფუძველზე, ასევე, პროფესიული კავშირების, ბიზნესსექტორისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემუშავდა შრომის კოდექსის ცვლილებების პროექტი.

ცვლილებების პროექტზე მუშაობა დასრულდა 2013 წლის მარტში. ცვლილებები ძალაში შევიდა 2013 წლის 4 ივლისს. ახლებურად დარეგულირდა დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობა: განისაზღვრა ხელშეკრულების შეწყვეტის, ზეგანაკვეთური შრომის

ანაზღაურების, ვადიანი და უვადო შრომითი ხელშეკრულებების დადების წესები; ინდივიდუალურ და კოლექტიურ შრომით დავებთან დაკავშირებით დაწესდა ახალი რეგულაციები, გაიზარდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის როლი.

1.1.9. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის დღის აღნიშვნა (18 ოქტომბერი)

სამოქმედო გეგმის 1.1.9. აქტივობის შესაბამისად, რომელიც ეხება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის დღის აღნიშვნას, 2013 წლის 23 ოქტომბერს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, რომელიც, ასევე, წარმოადგენს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, 2013 წლის 6 თვის ანგარიში წარუდგინა ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს. სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდული ანგარიში მოიცავს 2013 წლის მარტ-სექტემბრის მონაცემებს (2013 წლის 15 მარტს დამტკიცდა სამოქმედო გეგმა).

1.2. მიუსაფარი ე.წ. „ქუჩის ბავშვების“ იდენტიფიცირება და არასრულწლოვანთათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება

სამოქმედო გეგმის 1.2. ამოცანის საქმიანობებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვთა საკითხებზე სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ამოცანებისა და მიზნების შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთან“ ერთად გაერო-ს ბავშვთა ფონდის დახმარებით ახორციელებს ევროკავშირის დაფინანსებულ პროექტს „ახალი ინიციატივა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მიმართ“.

პროექტის მიზანია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების სრულფასოვანი განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის თემზე დაფუძნებული, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სისტემის განვითარება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად პროექტი მუშაობს ორი მიმართულებით:

1. მიზანზე ორიენტირებული სპეციალური მომსახურებების მიწოდება;
2. სისტემური და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება ბავშვთა საბაზისო უფლებების უზრუნველყოფის მიზნით.

პროექტის ფარგლებში მიმდინარე ეტაპზე შერჩეულია მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები: „საქართველოს კარიტასი“, „ბავშვი და გარემო“ და „World Vision International“-ის ფილიალი საქართველოში.

აღნიშნული ორგანიზაციების მართვის ქვეშ მოქმედ მომსახურებებში დასასაქმებლად კონკურსის წესით შერჩეულია შესაბამისი პერსონალი, რომლებსაც გავლილი აქვთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული სატრენინგო კურსი.

2014 წელს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მიუსაფარი ბავშვების იდენტიფიცირება და მათთვის საჭირო სერვისების მიწოდება. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფია 18 წლამდე ასაკის მიუსაფარ ბავშვები, რომლებიც იდენტიფიცირებული არიან ასეთად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე.

მომსახურებისთვის ერთ ბენეფიციარზე გათვალისწინებული დღიური ხარჯი შეადგენს:

- ა) დღის ცენტრის მომსახურების შემთხვევაში - 9 ლარს;
- ბ) კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრის მომსახურების შემთხვევაში - 20 ლარს;
- გ) ტრანზიტული ცენტრის მომსახურების შემთხვევაში - 20 ლარს.

მომსახურების მიმწოდებლები არიან:

- ა) უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, World Vision International-ის ფილიალი საქართველოში - 3 მობილური ჯგუფი(აქედან 2 თბილისში და 1 ქუთაისში);
- ბ) ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდი საქართველოსკარიტასი - 1 მობილური ჯგუფი.

2014 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება მიიღო 103-მა ბენეფიციარმა.

აქტივობები

1.1 მობილური ჯგუფი - ქუჩში ბავშვების მოძიება, ნდობის მოპოვება, მომსახურების შეთავაზება

თბილისის მასშტაბით მუშაობს 3 მობილური ჯგუფი, თითოეულის შემადგენლობაში შედის თითო: უფროსი სოციალური მუშაკი (*სახელმწიფოს მხრიდან*); ფსიქოლოგი, თანასწორ განმანათლებელი და ადმინისტრაციული თანამშრომელი/მძღოლი (*მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის მხრიდან, კერძოდ, ამ შემთხვევაში საქართველოს კარიტასი - 1 მობილური ჯგუფი, და World Vision International საქართველოს ოფისი - 2 მობილური ჯგუფი*). სამივე ჯგუფის სრული პერსონალი გადამზადებულია პროექტის ფარგლებში შემუშავებული 30 დღიანი სატრენინგო პროგრამის ფარგლებში. 2015 წლის დასაწყისიდან დაგეგმილია მობილური სამსახურის ამოქმედება ქ.ქუთაისში.

1.2 დღის ცენტრი - დღის მომსახურების მიწოდება ინდივიდუალური განვითარების და მომსახურების გეგმების შესაბამისად (მოკლევადიანი)

2014 წლის 16 მაისიდან აქტიურად ფუნქციონირებს თბილისის მასშტაბით 2 დღის ცენტრი, რომელიც ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს საშუალებას აძლევს, რომ დაკმაყოფილდეს მათი ძირითადი მოთხოვნები (საკვებზე, ჰიგიენაზე და სხვ.) და სთავაზობს მათ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების შემუშავებისა და არაფორმალური განათლების პროგრამას, რომლის მიზანია ბავშვების რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია; მომსახურების მიმწოდებლები არიან: საქართველოს კარიტასი (მანჯგალადის N 53), World Vision International საქართველო (ჩიქობავას N 29).

2015 წლის დასაწყისიდან იგეგმება 1 დღის ცენტრის ამოქმედება ქუთაისში.

1.3 კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარი - 24 საათიანი მომსახურების მიწოდება ინდივიდუალური განვითარების და მომსახურების გეგმების შესაბამისად (მოკლევადიანი)

2014 წლის 16 მაისიდან აქტიურად ფუნქციონირებს თბილისის მასშტაბით დღის ცენტრთან არსებული 2 კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარი, რომელიც ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს სთავაზობს 24 საათიან კრიზისულ თავშესაფარს და საშუალებას აძლევს, რომ დაკმაყოფილდეს მათი ძირითადი მოთხოვნები (საკვებზე, ჰიგიენაზე და სხვ.) და სთავაზობს მათ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების შემუშავებისა და არაფორმალური განათლების პროგრამას, რომლის მიზანია ბავშვების რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია; მომსახურების მიმწოდებლები არიან: საქართველოს კარიტასი (მანჯგალადის N 53), World Vision International საქართველო (ჩიქობავას N 29).

2015 წლის დასაწყისიდან იგეგმება 1 კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარის ამოქმედება ქუთაისში.

1.4 ტრანზიტული მომსახურება - 24 საათიანი მომსახურება ინდივიდუალური განვითარების და მომსახურების გეგმების შესაბამისად ხანგრძლივ მზრუნველობაში (მათ შორის ოჯახში დაბრუნება) გადაყვანის მიზნით (მაქსიმუმ 1 წლის ვადით)

2014 წლის 16 მაისიდან პროექტის ფარგლებში აქტიურად მუშაობს 2 ტრანზიტული მომსახურება (თბილისში და რუსთავეში), რომელიც წარმოადგენს 24-საათიან მომსახურებას მაქსიმუმ ერთი წლის განმავლობაში, რომელიც ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს სთავაზობს ინდივიდუალურ მხედველობას, შესაძლებლობების ინტენსიურ განვითარებას და ამზადებს მათ უფრო ხანგრძლივი დროით მიზნობით აღზრდაში ან მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლში განთავსებისათვის. გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც ბიოლოგიურ ოჯახს შეუძლია ბავშვი უზრუნველყოს უსაფრთხო გარემოთი, ხდება რეინტეგრაციის პროცესის აქტიური ხელშეწყობა. აღნიშნული მომსახურების მიმწოდებლები არიან, თბილისში (აბასთუმნის N4) - ა(ა)იპ „ბავშვი და გარემო“, რუსთავეში (ქ რუსთავი, ფალიაშვილის ქ N18) - ა(ა)იპ „საქართველოს კარიტასი“.

1.5 მომსახურებების არეალის გაფართოება (ქუთაისი)

2015 წლის დასაწყისიდან იგეგმება 1 მობილური მომსახურების, 1 დღის ცენტრის და 1 კრიზისული ინტევენციის თავშესაფრის მომსახურებების ამოქმედება. ამ მომსახურების მიმწოდებელი იქნება World Vision International საქართველოს ოფისი, რომელმაც უკვე დაიქირავა და გადაამზადა პერსონალი (მობილური ჯგუფის ფსიქოლოგი, თანასწორ განმანათლებელი და ადმინისტრაციული თანამშრომელი/მძღოლი, აღმზრდელები, მომსახურების სოციალური მუშაკი და სხვა.) პროექტის ფარგლებში შემუშავებული 30 დღიანი მრავალმოდულიანი სატრენინგო პროგრამით.

1.6 გადაუდებელი ჯანდაცვის და სოციალური ფონდი

პროექტის ფარგლებში დაარსდა ჯანდაცვისა და სოციალური ფონდი, რომელიც დაფარავს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ჯანმრთელობისა და სოციალური საჭიროებების ხარჯებს, რაც წარმოადგენს ამ ბავშვების კონკრეტული პრობლემების გადაჭრის ეფექტიან საშუალებას მოკლევადიან პერიოდში (2014). ამასთანავე, ფონდმა შეიძლება ერთჯერადი დახმარება გაუწიოს ქუჩაში მცხოვრები ბავშვების დაბრუნებას ბიოლოგიურ ოჯახებში.

ფონდის უშუალო ადმინისტრირებას ახორციელებს World Vision International საქართველოს ოფისი, ხოლო ადმინისტრირებაში ჩართულნი არიან პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და წარმომადგენლები გაეროს ბავშვთა ფონდიდან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროდან და სოციალური მომსახურების სააგენტოდან. ფონდში განაცხადი შეაქვს უფროს სოციალურ მუშაკს. ფონდის ბიუჯეტი შეადგენდა 20000 ლარს, დღეის მონაცემებით დაფინანსდა 60-მდე შემთხვევა და გაიხარჯა 50%-ზე მეტი. ფონდის ფარგლებში:

- მოუწესრიგდათ პირადი დოკუმენტაცია სამიზნე ბენეფიციარებს და მათ ოჯახებს,
- ბენეფიციარებს ჩაუტარდათ სხავდასხვა სახის გამოკვლევები და გაეწიათ სამედიცინო მომსახურებები, მოხდა სამედიცინო მედიკამენტების შეძენა ბენეფიციარებისთვის საჭიროების და მიხედვით.
- მოხდა ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების ოჯახებისთვის, ტასაცმლის, შემის, საწოლების, სხვა ტიპის საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა.

1.7 ცხელი ხაზი

2013 წლის დეკემბერში ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზის თანამშრომლებს პროექტის მენეჯმენტის გუნდის მიერ მიეწოდათ ინფორმაცია მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაზე. პარალელურ რეჟიმში მობილურ ჯგუფებს დაუწესდათ მორიგეობის გრაფიკი, ცხელ ხაზზე შემოსული ზარებზე რეაგირებისთვის. საპილოტე რეჟიმში მუშაობისას გამოიკვეთა ორი ტიპის რეაგირების განხორციელების აუცილებლობა, კერძოდ:

- 1) გადაუდებელი რეაგირების ტიპის შეტყობინება (მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ან შეიძლება გამოიწვიოს მისი სიკვდილი ან დაინვალიდება;)

2) ჩვეულებრივი ტიპის ზარი (მაგ: რუსთაველის გამზირზე მოწყალეობას ითხოვენ მცირეწლოვანი ბავშვები,) რომელზეც რეაგირებას მობილური ჯგუფი სამუშაო დღის ბოლომდე ახორციელებს.

ვინაიდან მობილურ ჯგუფებს აქვთ გაწერილი სამუშაო აღწერილობა, ყოველდღიურად დაგეგმილი აქტივობები – კონკრეტული გეგმითა და მიმართულებებით, როგორიცაა შემთხვევის მართვა – ბავშვის არაფორმალურ განათლება, მისი მოზიდვა და მომზადება დღის ცენტრის სერვისის მისაღებად. პარალელურ რეჟიმში ოჯახებთან მუშაობა, მათთვის სოციალური დახმარების, საქართველოს მოქალაქეობის მიღებისა თუ პირადი დოკუმენტების აღდგენა/მოწესრიგების საქმეში, ბავშვების საჯარო სკოლასა და ბაღში ჩარიცხვის საკითხების მოგვარება, ცხელ ხაზზე შემოსულ ყველა ტიპის ზარზე დაუყოვნებლივი რეაგირებები მთლიანად ცვლიდა მობილური ჯგუფის მუშაობის სტრუქტურას, და გარკვეულწილად ხელსაც უშლის მობილური ჯგუფის მუშაობას. ზარებზე დაუყოვნებლივი რეაგირების გამო ვეღარ ხდებოდა დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება.

სპეციალურად ცხელი ხაზისთვის პროექტის მენეჯმენტის გუნდის მიერ შეიქმნა ანკეტა, სადაც ცხელი ხაზის ოპერატორები აფიქსირებენ ზარის განხორციელების დროს, მოქალაქის საკონტაქტო ინფორმაციას, სიტუაციის მოკლე აღწერას, და თუ რომელ მობილურ ჯგუფს გადაეცა შეტყობინება რეაგირებისთვის. ყოველი კვირის ბოლოს კი პროექტის მენეჯმენტის გუნდი აკეთებს შემოსული შეტყობინებების მონიტორინგს და იღებს უკუკავშირის მობილური ჯგუფისგან.

1.2.1. მიუსაფარი ე.წ. „ქუჩის ბავშვების“ იდენტიფიცირება, მათი ინფორმირება იძულებით შრომასა და სექსუალურ ექსპლუატაციაზე

სამოქმედო გეგმის 1.2.1 საქმიანობის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს მიუსაფარი ე.წ. „ქუჩის ბავშვების“ იდენტიფიცირებასა და არასრულწლოვანთათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს დამტკიცებული აქვს მობილური ჯგუფების მიერ გასატარებელი ღონისძიებები და მიუსაფარი ბავშვების (ე.წ. „ქუჩის ბავშვები“) პრობლემების გადასაჭრელად გასატარებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა.

შემოწმების მობილური ჯგუფების მიერ პერიოდულად ხორციელდება რისკჯგუფს მიკუთვნებული ე.წ. „ქუჩის ბავშვების“ შემოწმება-შესწავლა, იდენტიფიცირება და მათი ინფორმირება, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის, ასევე იძულებით შრომასა და სექსუალურ ექსპლუატაციის შესახებ. ამ მიზნით თანამშრომლობა ხორციელდება სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან. ფონდის ტერიტორიული ერთეულიდან („თბილისის ბავშვთა კრიზისული ცენტრი“) მიღებული წერილის საფუძველზე, გამოვლინდა და გამოძიება დაიწყო არასრულწლოვნების მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგის ორ ფაქტზე.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 2013 წლის აგვისტოდან დაიწყო და დღემდე თბილისის მასშტაბით საქმიანობას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში შექმნილი 3 მობილური ჯგუფი და 1 დღის ცენტრი. მობილური ჯგუფების მიერ ამ ვადაში თბილისის მასშტაბით იდენტიფიცირებულია 300-ზე მეტი ბავშვი, რომლებთანაც მიმდინარეობს მუშაობა. მობილური ჯგუფები ველზე მუშაობენ ბავშვებთან ნდობის მოპოვებისა და პირველადი კონტაქტის დამყარების მიზნით და აცნობენ ინფორმაციას ბავშვზე ზრუნვის მომსახურებების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დახმარებით მობილური ჯგუფის წევრებს ჩაუტარდათ სწავლება ტრეფიკინგის საკითხებთან დაკავშირებით და გადაეცათ თვალსაჩინოებები, რომლებსაც ჯგუფის წევრები გამოიყენებენ ტრეფიკინგის საკითხებში ბენეფიციარების ცნობიერების ამაღლებისათვის.

1.2.2. მიუსაფარი ე.წ. „ქუჩის ბავშვების“ შესახებ სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება

სამოქმედო გეგმის 1.2.2. საქმიანობის შესაბამისად, რომელიც ეხება მიუსაფარი ე.წ. „ქუჩის ბავშვების“ შესახებ სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) თანამშრომლობით ახორციელებს პროგრამას „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალურად დაუცველი, ქცევითი პრობლემების მქონე და სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეებისთვის საქართველოში“. მიმდინარეობს მუშაობა განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის ეროვნული მოდელის „სადისკუსიო დოკუმენტზე“, რომლის ერთ-ერთი მთავარი პირდაპირი ბენეფიციარები არიან ე.წ. „ქუჩის ბავშვები“. პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდა მრჩეველთა საბჭო, რომლის მიზანია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ფორმალური განათლების სისტემაში ჩართვის ხელშეწყობა. პროგრამა აგრეთვე, საფუძველს შეუქმნის სოციალურად დაუცველი, ქცევითი პრობლემების მქონე და სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვების განათლებისადმი სისტემურ მიდგომას და ჩამოყალიბებს საზოგადოებაში მათი ეფექტიანი ინტეგრაციისთვის სოციალურ და საგანმანათლებლო პოლიტიკას. ამ ეტაპისთვის დასრულდა საკანონმდებლო და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი, მომზადდა ანგარიში საკანონმდებლო ხარვეზების განსახილველად და მათი აღმოფხვრის მიზნით შემუშავდა რეკომენდაციები. მოცემული ანგარიშების წარდგენა მოხდება მრჩეველთა საბჭოსთან.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს დასრულდა მუშაობა განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის ეროვნული მოდელის სადისკუსიო დოკუმენტზე. 2014 წელს პროგრამის განხორციელებასა და დაფინანსებაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აიღო პასუხისმგებლობა. პროგრამა „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა“ განიხილება ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის, ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში. აღნიშნული პროგრამით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების საგანმანათლებლო სისტემაში სრულფასოვანი

მონაწილეობის პოლიტიკის ხელშესაწყობად განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის ეროვნული მოდელის დანერგვისა და ამით სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ფორმალურ განათლებაში ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარე წელს დაიგეგმა:

- სკოლის მიღმა დარჩენილ ბავშვთა შეფასება მათი საგანმანათლებლო შესაძლებლობებისა და საჭიროებების დასადგენად და სკოლის დამოკიდებულების კვლევა (ადმინისტრაცია, მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები) – განათლების მიღმა დარჩენილ ბავშვთა სხვადასხვა რისკჯგუფის მიმართ;
- საერთაშორისო გამოცდილებისა და ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით სკოლის მიღმა დარჩენილ ბავშვთა ფორმალურ განათლებაში ჩართვის მიზნით ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული, ბაზისური აკადემიური კომპეტენციების შეძენისა და განვითარებისთვის საჭირო დამხმარე საგანმანათლებლო მასალის პროგრამების განსაზღვრა და შექმნა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარ სამმართველოში შემუშავებული და დამტკიცებულია სპეციალური სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად კონკრეტულ განყოფილებას აქვს ვალდებულება სისტემატურად განაახლოს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების შესახებ არსებული საინფორმაციო ბაზა. ამ ცნობების საფუძველზე სამართალდამცავები პერიოდულად ახორციელებენ ოპერატიულ საქმიანობას, რაც მიზნად ისახავს ბავშვთა ექსპლოატაციის ნიშნების გამოვლენას; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტების ეფექტურად გამოვლენის მიზნით, შსს–ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს დამტკიცებული აქვს მობილური ჯგუფების მიერ გასატარებელი ღონისძიებები და მიუსაფარი ბავშვების (ე.წ. ქუჩის ბავშვები) პრობლემების გადასაჭრელად გასატარებელი ღონისძიებების სტრატეგია და გეგმა, რის საფუძველზეც მიმდინარეობს მუშაობა გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.

2014 წლის ნოემბერში ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭოს მიერ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ჩართულ უწყებებთან ერთად გამოავლინა კონკრეტული საჭიროებები ასეთი ბავშვების ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის შედეგად ასევე შემუშავდა ცვლილებების პროექტები სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში. ცვლილებების პროექტის შედეგად გამარტივდება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გამოცემა, რაც ხელს შეუწყობს მათ ჩართვას სოციალურ, საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები დარეგულირდება მთავრობის დადგენილებით, რის შედეგადაც ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცესში უფრო მეტი უწყება იქნება ჩართული.

II. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა

სამოქმედო გეგმის მეორე მიზანი ემსახურება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვას.

2.1.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა არსებული თავშესაფრების საქმიანობის მონიტორინგი და მონიტორინგის საფუძველზე ანგარიშის მომზადება

აღნიშნული სამოქმედო გეგმის საქმიანობა 2.1.1. მოიცავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მსხვერპლთა მომსახურების არსებული დაწესებულებების (თავშესაფრები) საქმიანობის მონიტორინგსა და მონიტორინგის საფუძველზე ანგარიშის მომზადებას. აღნიშნული ვალდებულების ეფექტურად შესრულების მიზნით:

1. ფონდი მუდმივად, გარკვეული პერიოდულობით, ახორციელებს მისი სტრუქტურული თუ ტერიტორიული ერთეულების მონიტორინგს, რაც გამოიხატება ცენტრალური აპარატის ბაზაზე სპეცილურად შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის მიერ თავშესაფრებისა თუ ფილიალების ადგილზე შემოწმებაში;
2. 2013-2014 წლის საანგარიშო პერიოდში ფონდის მერ განხორციელებული მომსახურებები - *დანართი #1*

2.1.2. არსებულ თავშესაფრებში მომსახურების მიწოდებისას ბავშვის საჭიროებების გათვალისწინება

სამოქმედო გეგმის 2.1.2. საქმიანობის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) მსხვერპლთა მომსახურების არსებულ დაწესებულებებში (თავშესაფრები) მომსახურების მიწოდებისას ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებას, თავშესაფრებში მომსახურებები მორგებულია არასრულწლოვანთა მოთხოვნებს და სერვისების მიწოდება ხორციელდება მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, სახელმწიფო ფონდის მიერ შექმნილი თავშესაფრები ხელმისაწვდომია, როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლი არასრულწლოვნებისთვის ასევე 18 წლამდე იმ პირებისთვის, რომლებიც მსხვერპლზე დამოკიდებულ არასრულწლოვნებს წარმოადგენენ.

ამასთანავე, ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვები, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ფონდის თავშესაფრებში უზრუნველყოფილნი არიან შემდეგი საჭიროებებით:

- 1) ნორმალური ცხოვრებისთვის აუცილებელი და უსაფრთხო ადგილი;
- 2) კვება და ტანსაცმელი;
- 3) ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამაში მონაწილეობა;
- 4) ფორმალური თუ არაფორმალური განათლების სიტებაში მონაწილეობისთვის ხელის შეწყობა;
- 5) ყველა სხვა აქტივობა, რაც აუცილებელია ბენეფიციართა განვითარებისათვის;

სხვა ღონისძიებები, რაც საქართველოს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული“.

2.2.1. უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის გაგებით უსაფრთხოდ დაბრუნების უზრუნველყოფა

სამოქმედო გეგმის 2.2.1. საქმიანობის შესაბამისად, რომელიც ეხება უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში უსაფრთხო დაბრუნებას, 2013 წელს ბათუმში გამოვლენილი 2 დაზარალებულის და 2 მსხვერპლის სტატუსის მქონე უზბეკეთის მოქალაქეები დაბრუნებულ იყვნენ უზბეკეთში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით.

2014 წელს არ მომხდარა საქართველოში იდენტიფიცირებული უცხო ქვეყნის მოქალაქე ტრეფიკინგის მსხვერპლის/დაზარალებულის დაბრუნება თავის ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, ვინაიდან ჯერ მიმდინარეობს საქმისწარმოება და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ისინი იმყოფებიან საქართველოში თავშესაფარში.

საქართველოს მათავრობა თანამშრომლობს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რათა მოახდინოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა უსაფრთხო დაბრუნება თავიანთ საშობლოში. სახელმწიფო ფონდი აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში მათ შორის ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაბრუნების სფეროშიც.

2014 წლის აპრილი-დეკემბრის პერიოდში ფონდის თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა უცხო ქვეყნის სამმა მოქალაქემ, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაზარალებულად იყვნენ ცნობილები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულში. სამივე მათგანს ფონდის მიერ გაეწიათ იურიდიული (სასამართლო წარმომადგენლობის ჩათვლით), ფსიქოლოგიური და სამედიცინო დახმარება. ორმა მათგანმა საკუთარი სურვილით დატოვა თავშესაფარი, მას შემდეგ რაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ დადასტურდა, რომ მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას რაიმე სახის საფრთხე არ ემუქრებოდა.

2.2.2. უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა მოთხოვნის შემთხვევაში დროებით საცხოვრებლის უფლების მინიჭება

უცხოეთის ქვეყნის მოქალაქეებზე დროებითი ბინადრობის ნებართვების გაცემის პროცედურა დასრულდა 2015 წლის იანვარში. ნებართვა გაიცა 6 პირზე.

2.2.3. ეროვნული რეფერალური მექანიზმის ფარგლებში ინდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწინებით რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ინდივიდუალური პროგრამის შემუშავება

2.2.4. რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამების შესწავლა და დახვეწა ახალი ტენდენციების შესაბამისად

სამოქმედო გეგმის 2.2.3 და 2.2.4 საქმიანობების შესაბამისად ფონდი მოქმედებს 2007 წლის 19 ივლისს მიღებულ ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა სარეაბილიტაციო და საინტეგრაციო სტრატეგიის მიხედვით, რომლის ერთ-ერთი მთავარი განმახორციელებელი სუბიექტი არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. შეიქმნა სტრატეგიის განხორციელებისათვის საჭირო მომსახურებათა ქსელი. ამ მიზნით ფონდსა და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის დადებულ იქნა შესაბამისი მემორანდუმები სერვისების მიწოდების თაობაზე (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია); აღსანიშნავია, რომ თითოეული ბენეფიციარის მიმართ, რომელიც სარგებლობს თავშესაფრით, ადმინისტრაციის მიერ ხდება რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის გეგმის შედგენა. რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის გეგმა მოიცავს: ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთან/დაზარალებულთან ინტერვიუებებს, რეაბილიტაცია/რეინტეგრაციის გეგმისა და რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას. ზემოაღნიშნული გეგმების ფარგლებში ხორციელდება გადაუდებელი საჭიროებების შეფასება (თავშესაფრის ადმინისტრაციის მიერ), სასურველი საჭიროებების შეფასება (ბენეფიციარის მონაწილეობით) და განხორციელებული აქტივობების დაფიქსირება.

2.2.5. საკანონმდებლო ბაზის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში მათი სრულყოფა

სამოქმედო გეგმის 2.2.5. აქტივობის შესაბამისად, რომელიც ეხება საკანონმდებლო ბაზის შესწავლასა და, საჭიროების შემთხვევაში, მის სრულყოფას, 2013 წლის აპრილში საბჭოს ფარგლებში შეიქმნა საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ტრეფიკინგის შესახებ არსებული კანონმდებლობის გაანალიზება, ხარვეზების გამოკვეთა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება. საკანონმდებლო ცვლილებების მიღების მიზნებს წარმოადგენდა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 143¹-ე მუხლის შენიშვნის წინათ მოქმედ რედაქციაში არსებული ხარვეზები და ბუნდოვანება. ეს ხარვეზები გამოვლინდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებო-საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფის შეხვედრებისას, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სამართალდამცავი ორგანოების, სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრებისას გაანალიზდა სამართალდამცავი ორგანოების მიერ დასახელებული პრობლემები, რაც იქმნება სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების პრაქტიკაში გამოყენების შედეგად.

საკანონმდებლო ცვლილებების მიზანს წარმოადგენდა მოქმედ კანონმდებლობაში „ექსპლუატაციის“ დეფინიციის სრულყოფა და ტრეფიკინგთან ბრძოლის თანამედროვე გამოწვევების ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში. მანამდე მოქმედი რედაქცია სამართალდამცავ ორგანოებს ნორმის პრაქტიკაში გამოყენებისას უქმნიდა პრობლემებს, ვინაიდან იძლეოდა არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას „ექსპლუატაციის“ ნიშნების ალტერნატიულად თუ კუმულატიურად გამოყენების თვალსაზრისით. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული კანონპროექტით ახლებურად ჩამოყალიბდა „ექსპლუატაციის“ ცნება. კერძოდ, „ექსპლუატაციის“ განმარტებაში ხაზგასმულია, რომ ექსპლუატაცია წარმოადგენს კონკრეტული ქმედების განხორციელებას დამნაშავეს მიერ მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლის მიღების მიზნით. ამავე დროს, განისაზღვრა ექსპლუატაციის ფორმები და ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ მათგან ერთ-ერთი ფორმის არსებობაც იძლევა ექსპლუატაციის შემადგენლობას. ასევე, დაზუსტდა „მოწოდების თანამედროვე პირობებში ჩაყენების“ დეფინიცია. წარმოდგენილი ცვლილებით, მოწოდების თანამედროვე პირობები გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც პირი ანაზღაურებით ან არაადეკვატური ანაზღაურებით, ან მის გარეშე სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა სხვა სახის მომსახურებას და მას არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა ამ პირობე და მოკიდებულების გამო. გარდა ამისა განისაზღვრა „პირობე და მოკიდებულების“ განმარტებული გარემოებები.

საერთო ჯამში ჩატარდა სამუშაო ჯგუფის 6 შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 143¹-ე მუხლთან დაკავშირებული ხარვეზები. სამუშაო ჯგუფის წევრები გაეცნენ საერთაშორისო სტანდარტებსა და სხვადასხვა ქვეყნის ტრეფიკინგთან დაკავშირებულ კანონმდებლობებს, რომელთა ანალიზის შედეგადაც შემუშავდა სსკ 143¹-ე მუხლის შენიშვნის ცვლილების პროექტი. ცვლილების პროექტის განხილვა, ასევე, მიმდინარეობდა ელექტრონულად შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენის გზით.

გარდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებისა, საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით საბჭოს სამდივნოს წარმომადგენლებსა და სისხლის სამართლის პროფესორებს შორის შედგა შეხვედრა, რომლის მიზანს წარმოადგენდა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 143¹-ე და 143²-ე მუხლების განხილვა და სამდივნოს მიერ შემუშავებული ცვლილებების პროექტის შეფასება.

ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის შენიშვნის ცვლილების პროექტი გაგზავნილ იქნა გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისსა (UNODC) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) სათავო ოფისში. საერთაშორისო ექსპერტიზის შენიშვნები და რეკომენდაციები ასახულ იქნა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 143¹-ე მუხლის შენიშვნაში.

საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი მომზადდა „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში. კერძოდ, ცვლილება ეხება კანონის მე-3 მუხლის „დ“ და „თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ „ექსპლუატაციის“ და „მოწოდების თანამედროვე პირობებში ჩაყენების“ განმარტებას. წინამდებარე ცვლილება გამომდინარეობს „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს

კანონპროექტიდან, რომლითაც ახლებურად განისაზღვრა „ექსპლუატაციისა“ და „მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების“ დეფინიციები.

გარდა ამისა, ცვლილებები შეეხო სანქციებსაც და უფრო დამძიმდა, კერძოდ კი, დამატებითი სასჯელის სახე „თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა“ გაიზარდა 3 წლის ვადამდე.

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 29 მაისს და ძალაში შევიდა 2014 წლის 4 ივნისს.

დამატებით, 2013 წლის ოქტომბერში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის შესახებ“. აღნიშნული კანონის იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით, 2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა და მინისტრის N787 ბრძანებით დაამტკიცა „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის თაობაზე მოთხოვნის შედგენისა და გაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“.

III. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა

სამოქმედო გეგმის მესამე მიზანი ემსახურება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტურ სისხლისსამართლებრივ დევნას.

3.1.1. საქართველოში გამოვლენილი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეების კრიმინოლოგიური შესწავლა და ზოგადი ანალიზის ჩატარება შემდგომი პრევენციის მიზნით

ტრეფიკინგის საქმეების კრიმინოლოგიური შესწავლა ყოველწლიურად ხდება. ამ დანაშაულის ახალი მიმართულებების შესახებ ინფორმაცია ანალიზის სახით მიეწოდება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში. ეს ანალიზი კი საბოლოო ჯამში ქვეყნდება ტრეფიკინგის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველ წლიურ ანგარიშში.

ბოლო წლებში გამოვლენილი ტრეფიკინგის დანაშაულების ანალიზის შედეგად ცნობილია, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლები და მათ მიმართ დანაშაულის ჩამდენი პირები ძირითადად არიან ერთი და იმავე ქვეყნის მოქალაქეები. როგორც დადგინდა 2014 წლის განმავლობაში უზბეკეთის, ტაჯიკეთის და ყირგიზეთის მოქალაქეებმა თავიანთი თანამემამულეები გადაიბირეს და მაღალანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმების დაპირებით ჩამოიყვანეს საქართველოში, სადაც ჩამოართვეს პასპორტები, შეუზღუდეს თავისუფლად გადაადგილების უფლება და უწევდნენ სექსუალურ ექსპლუატაციას. საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ტრეფიკიორს თავისი მსხვერპლი მიჰყავდა სხვადასხვა დისკო კლუბებში, ბარ-რესტორნებში, სადაც ახვედრებდა წინასწარ შერჩეულ თურქი ეროვნების კლიენტებს და

აიძულებდა გაყოლოდა მათ სხვადასხვა სასტუმროებში სქესობრივი კავშირის დასამყარებლად, ხოლო თანხას კლიენტებისგან წინასწარ იღებდა ტრეფიკორი.

სტატისტიკური მონაცემებით პოტენციური მაჩვენებელი ტრეფიკინგის დანაშაულთან მიმართებაში, გენდერის თვალსაზრისით მეტია ახალგაზრდა ქალბატონების მიმართ სექსუალური ექსპლუატაციის განხორციელების კუთხით, რომელთა შორის არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები ტაჯიკეთიდან, ყირგიზეთიდან და უზბეკეთიდან. საქართველოს მოქალაქეების მიმართ შრომითი ექსპლუატაციის ფაქტები ვლინდება თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც ძირითადად შრომითი ექსპლუატაციის ფაქტები ფიქსირდება ქალბატონების მიმართ, რომლებიც შესაბამისი ნებართვის გარეშე მუშაობენ თურქეთის რესპუბლიკაში.

მუშაობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ტრეფიკინგის ფაქტებს საქართველოში ორგანიზებული ხასიათი არ ჰქონია, უზბეკეთის, ტაჯიკეთის და ყირგიზეთის მოქალაქეთა მოტყუებით საქართველოში ჩამოყვანა და შემდგომში მათი ექსპლუატაცია ხდება ტრეფიკიორის მიერ, რომელიც უშუალოდ იბირებს სავარაუდო მსხვერპლებს და ჩამოჰყავს საქართველოში სექსუალური თუ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ტრეფიკინგის ჩამდენი პირი და ტრეფიკინგის მსხვერპლია რიგ შემთხვევაში არიან ერთი და იმავე ქვეყნის მოქალაქეები, ხოლო ერთ შემთხვევაში უზბეკეთის მოქალაქეების მიმართ დანაშაულის ცამდენი პირი იყო თურქეთის მოქალაქე. საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტში საქართველოს მოქალაქეთა თანამონაწილეობა არ ფიქსირდება.

3.1.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაკითხვის სპეციალური მეთოდის დახვეწა საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით

სამოქმედო გეგმის 3.1.2. საქმიანობის შესაბამისად, რომელიც ეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაკითხვის სპეციალური მეთოდის დახვეწას საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, საგულისხმოა, რომ სამოქმედო გეგმის, საერთაშორისო ვალდებულებების ეფექტური განხორციელების, პროაქტიული გამოძიებების წარმოების, „ტრეფიკიორთა“ მიმართ წარმატებული სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და მსხვერპლთა/დაზარალებულთა უფლებების დაცვის მიზნით გამომძიებლებისა და პროკურორებისათვის შემუშავდა სახელმძღვანელო პრინციპები. ამ მიზნით 2013 წლის ოქტომბერში საბჭოს ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ გამომძიებლები, პროკურორები და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის პროცესი მიმდინარეობდა როგორც ელექტრონულად, ისე შეხვედრების ფორმატში. აღსანიშნავია, რომ ჩატარდა სამუშაო ჯგუფის 2 გასვლითი შეხვედრა ბაზალეთსა (22-23 ნოემბერი, 2013) და იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის ფილიალში (25-26 იანვარი, 2014). სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები დამტკიცებულ იქნა საბჭოს მიერ 2014 წლის 12 თებერვალს საბჭოს სხდომაზე. სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს საგამომძიებო ორგანოებისათვის შიდა მოხმარების დოკუმენტს, შესაბამისად, არ მომხდარა მისი გასაჯაროება. გასაჯაროვდა

სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაში გამოყენებულ იქნა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მოდელური კანონი (UNODC Model Law against Trafficking in Persons); ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები; „საქართველოს სისხლის სამართლის“ კერძო ნაწილის კომენტარები.

სახელმძღვანელო პრინციპებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანით ვაჭრობის სამართლებრივ ასპექტებს – ტრეფიკინგის ნორმის შემადგენლობის განმარტებას, ქმედებების, საშუალებებისა და მიზნის დეფინიციას.

სახელმძღვანელო პრინციპები აგებულია „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 143¹-ე მუხლის შენიშვნის ცვლილების გათვალისწინებით. შესაბამისად, სახელმძღვანელო პრინციპების ის ნაწილი, რომელიც ეხება „ექსპლუატაციის“ განმარტებას, ამოქმედდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლის მომენტიდან.

სახელმძღვანელო პრინციპებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანით ვაჭრობის მომიჯნავე მუხლებით წარმოებული საქმეების განხილვისას ტრეფიკინგის ნიშნების გათვალისწინების აუცილებლობასაც, რომელიც ემსახურება პროაქტიული გამოძიების წარმოებას და მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესაძლო მსხვერპლთა იდენტიფიცირებას.

სახელმძღვანელო პრინციპებში დეტალურად არის ასახული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების გამოძიების სტანდარტები. კერძოდ:

- ❖ ეფექტური, სრულყოფილი და პროაქტიული გამოძიებების სავალდებულობა/მიზანშეწონილობა;
- ❖ გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება;
- ❖ პოტენციურ მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაკითხვის მეთოდიკა;
- ❖ არასრულწლოვანთა დაკითხვისას/გამოკითხვის თავისებურებები;
- ❖ სავარაუდო მსხვერპლისათვის/დაზარალებულისათვის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების გაცნობა და სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის შეთავაზება.

გარდა ამისა, (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში 2014 წელს შეიქმნა შსს-ს, მთავარი პროკურატურისა და საბჭოს სამდივნოს წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის სტანდარტული ოპერატიული პროცედურები (SOPs) გამომძიებლებისთვის, ოპერატიული მუშაკებისა და შემოწმების მობილური ჯგუფის წევრებისათვის. SOPs-ს საბოლოო ვერსიას

IOM-ის მხარდაჭერით ჩაუტარდა საერთაშორისო ექსპერტიზა. SOPs-ის საბოლოო ვერსია დამტკიცდა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით 2015 წლის იანვარში.

3.1.3. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე უწყებების მიერ საჭიროების შემთხვევაში დასრულებული საქმის ერთობლივი განხილვა ტრეფიკინგის დანაშაულის ახალი ტენდენციების გამოვლენის მიზნით

სამოქმედო გეგმის 3.1.3. საქმიანობის შესაბამისად, რომელიც ეხება სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე უწყებების მიერ დასრულებული საქმეების ერთობლივ განხილვას ტრეფიკინგის ახალი ტენდენციების გამოვლენის მიზნით, 2013 წლის მაისში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ პროკურორები, გამომძიებლები, მოსამართლეები, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, უზენაესი სასამართლოს ბიუროსა და საბჭოს სამდივნოს წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის მიერ განხილულ იქნა ტრეფიკინგის მუხლით დაწყებული და შეწყვეტილი საქმეები როგორც შრომით, ისე სექსუალური ექსპლუატაციის ფარგლებში. სამუშაო ჯგუფის მიერ განხილული საქმეების საფუძველზე გამოიკვეთა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 143¹-ე მუხლის შენიშვნის გამარტივების საჭიროება, რომელიც სრულყო საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფმა. 2013 წლის ოქტომბერი - 2014 წლის მარტის პერიოდში სამუშაო ჯგუფის შეკრების საჭიროება აღარ დამდგარა.

3.2.1. კვლევის ჩატარება არასრულწლოვანთა იძულებითი შრომასა და ექსპლუატაციაში ჩაბმის შესახებ

არასრულწლოვანთა ერთი ჯგუფის განსაკუთრებული მოწყვლადების გამო საბჭომ შექმნა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების საკითხებზე სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია განსაზღვროს ამ ბავშვების მიმართ ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის გზები და მათი სათანადო დაცვის საშუალებები. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში ჩართულნი არიან კარიტასი საქართველო, World Vision Georgia, ბავშვი და გარემო, გაეროს ბავშვთა ფონდი და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფის მიზანია თითოეული ორგანიზაციის გამოცდილების გათვალისწინებით და მათ მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეიმუშავოს ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც განისაზღვრება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მაღალი მოწყვლადობის განმაპირობებელი ფაქტორები და მათ მიმართ ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის ეფექტიანი ღონისძიებები.

3.3.1. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება

სამოქმედო გეგმის 3.3.1. საქმიანობის შესაბამისად, რომელიც ეხება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს შემოწმების ოთხი მობილური ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია ორ-ორი სამართალდამცავისგან. მობილური ჯგუფების მიერ პერიოდულად ხორციელდება

ტრეფიკინგის რისკშემცველი ადგილების გამოვლენა-აღრიცხვა და რისკჯგუფის შემცველ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის, მათ შორის, პროსტიტუციაში ჩართულ პირთა შემოწმება-შესწავლა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით მობილური ჯგუფების მიერ 2013 წლის აპრილი-2014 წლის დეკემბრის პერიოდში გამოვლენილი იქნა რიგი დაწესებულებები, სადაც ადგილი ჰქონდა პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტს. აღნიშნულ დაწესებულებებში გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად გამოკითხული იქნა დაწესებულებაში მომუშავე პროსტიტუციაში ჩართული 450-ზე მეტი ქალბატონი, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეები მათ მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის გამოვლენის მიზნით. შემოწმდა 100-მდე დაწესებულება.

პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე 2014 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოძიება დაიწყო 55 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული იქნა 53 პირი.

შემოწმების მობილური ჯგუფების მიერ მიმდინარეობს იმ პირების და ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას, როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მობილური ჯგუფის მიერ მიმდინარეობს ქ. თბილისის ორთაჭალის და დიდუბის ავტოსადგურებში არსებული ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც ეწევიან მოქალაქეების საზღვარგარეთ გადაყვანას.

გარდა ამისა, მობილური ჯგუფების მიერ სისტემატურად ხორციელდება საზღვარგარეთის ქვეყნებიდან დეპორტირებული საქართველოს მოქალაქეების გამოკითხვები, მათ მიმართ ჩადენილი შესაძლო ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით. ამ კუთხით 2013 წლის აპრილიდან 2014 წლის დეკემბრის პერიოდში გამოკითხულია 3000-ზე მეტი პიროვნება. ზემოაღნიშნული პირების გამოკითხვის შედეგად გამოვლენილია 8 ტრეფიკინგის მსხვერპლი, რომელიც განხორციელდა თურქეთის რესპუბლიკაში.

დამატებით აღსანიშნავია, რომ 2014 წლის იანვარში შეიქმნა და საქმიანობას აგრძელებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის დასავლეთ რეგიონალური განყოფილება, რომელიც დაკომპლექტებულია რვა დეტექტივ-გამომძიებლით. აღნიშნული განყოფილების მთავარ ფუნქცია-მოვალეობას წარმოადგენს: ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენა, პრევენციული ღონისძიებების გატარება, ტრეფიკინგის რისკჯგუფს მიკუთვნებულ დაწესებულებათა და პირთა გამოვლენა, ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირება, სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე მოქალაქეთა გამოკითხვა, მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით, ტრეფიკინგის დანაშაულზე ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო საქმიანობის განხორციელება, ტრეფიკინგის ფაქტებზე ოპერატიული ინფორმაციის მოპოვება და სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების დაწყება, დაზარალებულ პირთა გამოვლენა (იდენტიფიცირება), სახელმწიფო ფონდთან კოორდინირებული მუშაობით მათი დახმარება, ტრეფიკინგის დანაშაულის ჩამდენ პირთა

დადგენა, დაკავება და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება. ასევე, ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით აღნიშნული განყოფილების მიერ მიმდინარეობს სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე მოქალაქეთა გამოკითხვა 24/7 რეჟიმში.

2014 წლის აპრილიდან პროაქტიული ღონისძიებების შედეგად ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის დასავლეთ რეგიონალურმა განყოფილებამ დაიწყო 5 გამოძიება ტრეფიკინგის ფაქტზე. განყოფილებამ გამოავლინა 7 მსხვერპლი მათ შორის ერთი არასრულწლოვანი. ამავე განყოფილებამ აჭარაში გამოკითხა 200-მდე პროსტიტუციაში ჩართული ქალი, შემოწმდა 30-მდე დაწესებულება, ასევე სარფის საზღვარზე ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოვლენის მიზნით გამოკითხა 800-მდე დეპორტირებული.

საერთო ჯამში ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მიერ 2014 წლის 01 აპრილიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე გამოძიება დაიწყო 11 სისხლის სამართლის საქმეზე, 4 სისხლის სამართლის საქმე გადაიგზავნა სასამართლოში, სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული და დაკავებული იქნა 5 პირი - ტრეფიკინგის 7 ფაქტზე და დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 7 პირს.

დამდგარი შედეგი:

- o 2014 წლის აპრილის თვიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ტრეფიკინგის ფაქტზე დამნაშავედ ცნობილ ერთ მოქალაქეს მიესაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.
- o 2014 წლის აპრილის თვიდან ბათუმის საქალაქო სასამართლომ ტრეფიკინგის ფაქტზე დამნაშავედ ცნო უზბეკეთის 2 მოქალაქე, ერთს მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მეორეს 7 წლით.

ამასთან, 2014 წლის 27 თებერვალს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიას შორის ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში სამართალდამცავი ორგანოების პროფესიონალიზმის ამაღლების სფეროში გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შეიქმნა და ფუნქციონირებს ე.წ. სპეციალისტების ჯგუფი (Task Force), რომელიც შედგება ტრეფიკინგის საქმეებზე მომუშავე მოქმედი 7 გამოძიებლისა და 5 პროკურორისგან, რათა პროაქტიულად გამოავლინონ, ეფექტურად გამოიძიონ და აწარმოონ სისხლის სამართლებრივი დევნა ადამიანით ვაჭრობის დანაშაულებზე. სპეციალისტების ჯგუფი კონცენტრირებულია აჭარის რეგიონზე. ამასთან, სპეციალისტების ჯგუფი უზრუნველყოფს თანამშრომლობას სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის და განავითარებს ტრეფიკინგის შემთხვევებზე მომუშავე სამართალდამცავი სტრუქტურების ქსელს.

სტატისტიკური მონაცემები - დანართი #2

IV. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება

სამოქმედო გეგმის მეოთხე მიზანი ეხება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას.

სამოქმედო გეგმის მე-4 მიზნის შესაბამისად, რომელიც ემსახურება ტრეფიკინგის თემაზე მომუშავე პირთა პროფესიულ გადამზადებას, 2013 წლის აპრილსა და 2014 წლის აგვისტოში გაიმართა შეხვედრები საკონსულო დეპარტამენტის წარმომადგენლებისა და კონსულებისათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და პოტენციურ მსხვერპლთა დახმარების, აგრეთვე, ტრეფიკინგის დანაშაულის არსისა და აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესახებ. ამასთან, საკონსულო დეპარტამენტის წარმომადგენლების ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე ცნობიერების ამაღლების საკითხთან დაკავშირებით, საკონსულო დეპარტამენტის თანამშრომლებსა და საზღვარგარეთ საქართველოს თანამდებობის პირებს შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდებათ როგორც საკონსულო თანამდებობის პირთა სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, ისე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ „სასწავლო ცენტრში“, საკონსულო თანამდებობის პირთა მოსამზადებელი სალექციო კურსის ფარგლებში, სადაც ერთ-ერთ სასწავლო საგნად განსაზღვრულია „ტრეფიკინგი და მასთან დაკავშირებული საფრთხეები“. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირებს ეგზავნებათ ინფორმაცია იმ კანონმდებლობის ნორმების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ტრეფიკინგისა და ადამიანის უფლებების დაცვასთან. ყოველწლიურად ქ. თბილისში იმართება საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირთა შეკრება, სადაც სხვა საკითხებთან (სიახლეები და არსებული პრობლემატიკა) ერთად განიხილება ტრეფიკინგის თემატიკა.

3.2.2. პროკურორების გადამზადება ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე

აღნიშნულთან დაკავშირებით, სამოქმედო გეგმის 4.1.1. აქტივობის შესაბამისად, რომელიც ეხება პროკურორებისათვის ტრეფიკინგის თემაზე პროფესიული ტრენინგების ჩატარებას, განხორციელდა შემდეგი პროფესიული ტრენინგები პროკურორებისათვის:

- 2013 წლის 28-30 მაისს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ სემინარს, ტრეფიკინგის გამოძიების საკითხებსა და მსხვერპლთა იდენტიფიკაციაზე, დაესწრო საქართველოს პროკურატურის ხუთი წარმომადგენელი;
- ამასთან, 2013 წლის 28-29 სექტემბერს ქ. სიღნაღში, „საქართველოსა და თურქეთის სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის ოპერატიული კონტაქტების გაუმჯობესება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ საბრძოლველად“ პროექტის ფარგლებში, გაიმართა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საბჭოს სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც ერთი სესია მიემდვნა სისხლის სამართლის კოდექსის 143¹-ე მუხლის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებულ სემინარს, რომელშიც მონაწილეობას იღებდა პროკურატურის 7 და შსს-ს 10 წარმომადგენელი, ასევე საბჭოს წევრი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები;

- 2013 წლის 22-23 ნოემბერს ბაზალეთზე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს პროექტის – „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის მრავალდისციპლინარული მიდგომები“ – ფარგლებში ორგანიზებულ იქნა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო **ხუთმა პროკურორმა** და შსს-ის ორმა წარმომადგენელმა. შეხვედრის ფარგლებში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მუშაობდნენ სახელმძღვანელო პრინციპებზე;
- 2014 წლის 25-26 იანვარს საბჭოს, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრისა“ და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანიზებით იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის ფილიალში გაიმართა პროკურორებისა და გამომძიებლების შეხვედრა სახელმძღვანელო პრინციპებთან დაკავშირებით. შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს მთავარი პროკურატურის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის, ქვემო ქართლისა და კახეთის პროკურატურის **8 პროკურორი** და შსს-ის 6 წარმომადგენელი თბილისიდან და აჭარის რეგიონიდან;
- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და პროკურორების უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით 2014 წლის 28-29 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ჩატარდა სამართალდამცველთა ტრენინგი: „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმი და თანამედროვე ტენდენციები“. ტრენინგში მონაწილეობდა **5 სტაჟიორ-პროკურორი** და 18 გამომძიებელი შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის II მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებიდან. ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ საბჭოს მუშაობის სპეციფიკას, განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს, ლეგალური და არალეგალური მიგრაციის შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებისას ქვეყნებს შორის თანამშრომლობას, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის საქმიანობასა და სერვისებს, ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სტატუსის მინიჭების პროცესს, თავშესაფრის მნიშვნელობას გამოძიების მწარმოებელი ორგანოსთვის, ტრეფიკინგის თემაზე ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას, მათ შორის, დაგეგმილ ცვლილებებს, ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მოპყრობის სტანდარტებს, სამართალდამცავი ორგანოებისათვის შემუშავებულ სახელმძღვანელო პრინციპებს, არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის სპეციფიკასა და არასრულწლოვანი მოწმე/დაზარალებულის დაკითხვის თავისებურებებს. ტრენინგებზე მოწვეულ იქნენ სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურისა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.
- 2014 წლის 1-2 მარტს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით ორგანიზებულ იქნა საქართველოს მთავარი პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საკითხებზე ორდღიანი ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო **13 კოორდინატორმა**. ტრენინგის მიზანი იყო მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის იმ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება,

რაც საჭიროა სპეციფიკურ ჯგუფებთან მიმართებაში. სწავლების მიმდინარეობისას კოორდინატორები მონაწილეობდნენ დისკუსიებში, განიხილავდნენ სხვადასხვა ტიპის შემთხვევებს და ითვისებდნენ მათი მართვის მექანიზმებს. აღსანიშნავია, რომ ტრენინგი განხორციელდა სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „სახლთან“ მჭიდრო თანამშრომლობით;

- 2014 წლის 29 აპრილს-2 მაისს თბილისის, ბათუმისა და ქვემო ქართლის **7 პროკურორსა** და 12 გამომძიებელს ბათუმში ჩატარდა ტრენინგები ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციაზე, მსხვერპლთა დაკითხვა-გამოკითხვაზე, ეფექტიანი და პროაქტიული გამოძიებების წარმოებასა და სისხლის სამართლის ნორმების ეფექტურ იმპლემენტაციაზე. ტრენინგს უძღვებოდა ბრიტანელი ტრენერი. ქ. ბათუმში ტრენინგი ორგანიზებულ იქნა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა (IOM) და Bureau of International Narcotics and Law Enforcement Affairs (INL) მიერ;
- 2014 წლის 17-19 სექტემბერს ტრეფიკინგის საკითხთან დაკავშირებით ტრენინგები ჩატარდა პროკურორებისათვის კაჭრეთში, სადაც ტრენინგს გაუძღვა მოწვეული ამერიკელი პროკურორი-ტრენერი. ტრენინგი ეხებოდა ადამიანით ვაჭრობასა და ბავშვთა პორნოგრაფიის საკითხებს. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო **20-მა პროკურორმა**.
- 2014 წელს საქართველოს პროკურატურაში მიღებულ იქნა **57 სტაჟიორ - პროკურორი** შემდგომში პროკურორად დანიშვნის მიზნით. სტაჟიორ პროკურორებისთვის შედგენილია ერთთვიანი პრე-სასწავლო კურსი პრაქტიკული მუშაობის დაწყებამდე. სასწავლო კურსის კურსკულუმი მოიცავს ტრეფიკინგისა და ქალთა მიმართ ძალადობის თემატიკას. მითითებულ საკითხებზე 2014 წლის ოქტომბერში გადამზადდა 57 სტაჟიორ პროკურორი.
- 2014 წლის 15 ნოემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით საქართველოს მთავარი პროკურატურის, თბილისისა და საოლქო პროკურატურის წარმომადგენლები დაესწრნენ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროსთან (INL) თანამშრომლობით განხორციელებულ ტრენინგებს „სისხლის სამართლის გამოძიების ინსტრუქტორთა კურსი“. (ტრენინგი იყო კომპლექსური ხასიათის და სხვა თემებთან ერთად, მოიცავდა ადამიანებით ვაჭრობისა და ნარკოდანაშაულის გამოძიების საკითხებს).
- 2014 წლის 15-29 დეკემბერს გაიმართა ტრენინგები ტრეფიკინგთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის, კანონმდებლობის და ევროკავშირთან ტრეფიკინგის კუთხით თანამშრომლობის შესახებ. ტრენინგებს ესწრებოდნენ გამომძიებლები და პროკურორები სხვადასხვა რეგიონებიდან. ტრენინგი ჩატარდა საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლობით.

4.1.2 სასაზღვრო საემიგრაციო გამტარ პუნქტებში მომუშავე პერსონალის გადამზადება მსხვერპლთა/პოტენციურ მსხვერპლთა და დამნაშავეთა გამოვლენის ახალი მეთოდების დანერგვის მიზნით

- აღნიშნული საქმიანობის შესრულების მიზნით, შსს სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლება მონაწილეობა მიიღეს, 2013 წლის 29/09-21/09/2013, იტალიაში, ფრონტექსის ფარგლებში ორგანიზებულ „ანტი-ტრეფიკინგის სახელმძღვანელოს ტრენერთა ტრეინინგში“ .
- ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტი „აღმოსავლეთ პარტნიორობა საზღვრის ინტეგრირებული მართვის საფლაგმანო ინიციატივის (IBM FIT) ფარგლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე სემინარში, რომელიც გაიმართა საქართველოში 25/03-27/03/2013 მონაწილეობა მიიღო სასაზღვრო პოლიციის ერთმა წარმომადგენელმა.

4.1.3 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გადამზადება, ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებისა და მსხვერპლთა/დაზარალებულთა მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ახალი ტენდენციების გაცნობა საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით

სამოქმედო გეგმის 4.1.2. და 4.1.3. საქმიანობების შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები:

- 2013 წლის 21-22 მაისს, ქ. ვარშავაში (პოლონეთი), „აღმოსავლეთ პარტნიორობის მიგრაციისა და თავშესაფრის მადიებელთა პანელის“ ფარგლებში, ჩატარდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა თემაზე „ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებები“. შეხვედრაზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა: მსხვერპლთა დაცვა, არასრულწლოვან ტრეფიკინგის მსხვერპლთა ექსპლოატაცია, სამართალდამცავთა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა მსხვერპლთა უფლებების დაცვის მიზნით, ეროვნული რეფერალური მექანიზმები და სხვა. აღნიშნული კონფერენციის მონაწილეებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა მიაწოდა ინფორმაცია სამინისტროს მიერ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში განხორციელებული და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ;
- 2013 წლის 8-10 აპრილს, ქ. პარიზში, საფრანგეთის მედიცინისა და ჯანდაცვის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს (ANSM) ორგანიზებით, გაიმართა სემინარი ადამიანების ორგანოებით, უჯრედებითა და ქსოვილებით ვაჭრობის შესახებ;
- 2013 წლის 28-30 მაისს, ქ. თბილისში, შერატონ მეტეხი პალასში, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ტრეფიკინგის ფაქტებზე მტკიცებულებათა მოგროვება“, რომელსაც უძღვებოდა მოწვეული საერთაშორისო ექსპერტი. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შსს-ს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის 21-მა წარმომადგენელმა;

- 2013 წლის 1-2 ივლისს, შსს-ს აკადემიაში, ჩატარდა ქართველ სამართალდამცავთა ტრენინგი თემაზე: „ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და თანამედროვე ტენდეციები“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შსს-ს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის **16-მა სამართალდამცავმა**;
- ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის პოლიციის კოლეჯის (CEPOL) გაცვლით პროგრამაში, რომელიც ემსახურება სხვადასხვა ქვეყნის პოლიციის თანამშრომლობის გაძლიერებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ტრეფიკინგისა და არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომელი ეწვია ესტონეთის სამართალდამცავ ორგანიზაციებს;
- 2014 წლის 28-29 მარტს პროკურორებისა და გამომძიებლებისათვის შსს-ს პოლიციის აკადემიაში ჩატარდა ტრეფიკინგთან დაკავშირებული ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისისა და ბათუმის 6-მა სტაჟიორ-პროკურორმა და პროკურორმა და **18-მა გამომძიებელმა**. ტრენინგები ორგანიზებულ იქნა შსს-იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ;
- 2014 წლის 29 აპრილს-2 მაისს თბილისის, ბათუმისა და ქვემო ქართლის 7 პროკურორსა და **12 გამომძიებელს** ბათუმში ჩაუტარდათ ტრენინგები ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციაზე, მსხვერპლთა დაკითხვა-გამოკითხვაზე, ეფექტიანი და პროაქტიული გამოძიებების წარმოებასა და სისხლის სამართლის ნორმების ეფექტურ იმპლემენტაციაზე. ტრენინგს უძღვებოდა ბრიტანელი ტრენერი. ქ. ბათუმში ტრენინგი ორგანიზებულ იქნა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) და Bureau of International Narcotics and Law Enforcement Affairs (INL) მიერ;
- 2014 წლის 1-2 ივლისს, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო კავკასიის რეგიონში არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ქსელის შექმნის მიზნით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ეგიდით ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაში;
- 2014 წლის 10-11 ივლისს ქ. ბათუმში ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს **4 გამომძიებლისათვის**, რომლებიც ამავე დროს წარმომადგენენ ტრეფიკინგის საქმეებზე მომუშავე სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) წევრებს, ჩატარდა ტრენინგი ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციასა და მსხვერპლებთან მოპყრობის საკითხებთან დაკავშირებით. ტრენინგი ორგანიზებულ იქნა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ა/ო „თანადგომის“ მიერ. ტრენინგში ასევე მონაწილეობდა საბჭოს წარმომადგენელი;

- 2014 წლის 19-20 ივლისს ყვარელში ორგანიზებულ იქნა ტრენინგი ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციასა და მსხვერპლებთან მოპყრობის საკითხებთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობდნენ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის ტრეფიკინგთან ბრძოლის სამმართველოს **6 გამომძიებელი** და ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს **6 გამომძიებელი**. ტრენინგი ორგანიზებულ იქნა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ა/ო „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის მიერ“. ტრენინგში ასევე ჩართულნი იყვნენ საბჭოს, შსს-სა და საქართველოს მთავარი პროკურატურის წარმომადგენლები;
- 2014 წლის 14-17 ოქტომბერს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შსს აკადემიაში დაგეგმილ სწავლებაში თემაზე “არასრულწლოვანთა კრიმინალის პრევენცია და არასრულწლოვან მსხვერპლთა მოპყრობა“;
- 2014 წლის 3-5 ნოემბერს, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს მთავრობის შესაძლებლობის გაძლიერება საზღვრისა და მიგრაციის მართვის სფეროში“ ფარგლებში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ დაგეგმილ ტრენინგში თემაზე „მიგრანტთა უკანონო გადაყვანა“;
- 2014 წლის 6-7 ნოემბერს შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს მთავრობის შესაძლებლობის გაძლიერება საზღვრისა და მიგრაციის მართვის სფეროში“ ფარგლებში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ დაგეგმილ ტრენინგში თემაზე „მიგრანტთა უფლებები“;
- 2014 წლის 27 ნოემბერს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს წარმომადგენელი დაესწრო ქ. ბრუსელში მე-5 ყოველწლიურ სიმპოზიუმს ტრეფიკინგის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების თემაზე;
- 2014 წლის 12-14 ნოემბერს, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთში, ქ. ლიონში ინტერპოლის მე-3 გლობალურ კონფერენციაში ადამიანით ვაჭრობის თემაზე;
- 2014 წლის 26-28 ნოემბერს, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის

სამმართველოს წარმომადგენელი დაესწრო ქ. ზაგრებში (ხორვატიის რესპუბლიკა) „იძულებითი მათხოვრობის მიზნით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)“ თემაზე მიმდენილ კონფერენციას;

- 2014 წლის 15-29 დეკემბერს გაიმართა ტრენინგები ტრეფიკინგთან დაკავშირებული სახელწიფო პოლიტიკის, კანონმდებლობის და ევროკავშირთან ტრეფიკინგის კუთხით თანამშრომლობის შესახებ. ტრენინგებს ესწრებოდნენ **გამომძიებლები** და პროკურორები სხვადასხვა რეგიონებიდან. ტრენინგი ჩატარდა საქართველოს მთავარი პროკურორის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლობით.

4.2.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე მოსამართლეების გადამზადება

4.2.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე მოსამართლეების თანაშემწეთა გადამზადება

4.2.1 და 4.2.2 საქმიანობების შესაბამისად, რომელიც ეხება მოსამართლეთა და მათი თანაშემწეების გადამზადებას, 2013-2014 წლების ტრეფიკინგთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე ჩატარდა 2 ტრენინგი, სადაც მონაწილეობდა საერთო სასამართლოების 22 მოსამართლე. სასამართლოების/მოსამართლეების შერჩევისას მხედველობაში იქნა მიღებული ტრეფიკინგის მიმართულებით განხილული საქმეების სტატისტიკა, ტრენინგების ორგანიზების დროისთვის მათზე მოსამართლეების დასწრების შესაძლებლობა და სასამართლოების სურვილი ტრენინგზე დასწრების შესახებ.

ტრეფიკინგის თემატიკაზე ჩატარებული ტრენინგების დეტალური მონაცემები:

1. 2013 წელს, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) თემაზე მოსამართლეთა გადამზადების ფარგლებში, ჩატარა ერთი ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობდა 13 მოსამართლე;
2. 2014 წელს, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობით, საერთო სასამართლოების სისტემის მოსამართლეთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, ჩატარა ერთი ტრენინგი ტრეფიკინგის თემაზე - „ადამიანით ვაჭრობა, მიგრანტთა უკანონო გადაყვანა საზღვარზე“. ტრენინგში მონაწილეობდა 9 მოსამართლე.

ტრენინგის ფარგლებში დაიფარა შემდეგი თემები: პალერმოს ოქმისა და ქართული კანონმდებლობის შედარება; ტრეფიკინგის ეტაპები და მეთოდები; ტრეფიკინგის კანონმდებლობა და პოლიტიკა; მიგრანტთა უკანონო გადაყვანა საზღვარზე და შედარება ტრეფიკინგთან; არასრულწლოვნით ვაჭრობა და შვილად აყვანა; ტრეფიკინგის დანაშაულის მსხვერპლი, დაცვისა და რეფერირების მექანიზმები.

4.3.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის პერსონალის უნარ-ჩვევების ამაღლება ტრენინგების გზით

სამოქმედო გეგმის 4.3.1. საქმიანობის შესაბამისად, რომელიც ეხება, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის პერსონალის უნარ-ჩვევების ამაღლებას ტრენინგების გზით, ყოველწლიურად იმართება საინფორმაციო და საგანმანათლებლო შეხვედრები თავშესაფრების თანამშრომელთათვის, იგეგმება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სპეციალური ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისათვის, მათი მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ტრეფიკინგის თავიდან აცილების უახლესი მეთოდოლოგიების გაცნობის და მათი დანერგვის მიზნით.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის „თანატოლთა განათლების“ ტრენინგში, ტრეფიკინგის მსხვერპლთა სერვისების, რეფერირების მექანიზმების შესახებ, მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ფონდის წარმომადგენელმა.

V. თანამშრომლობის გაძლიერება და შიდა კოორდინაცია

სამოქმედო გეგმის მეხუთე მიზანი ემსახურება თანამშრომლობის გაძლიერებასა და შიდა კოორდინაციის ხელშეწყობას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად განხორციელდა რიგი საქმიანობებისა.

5.1.1 სახელმწიფო სტრუქტურების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პერიოდული ანგარიშის მომზადება და საკოორდინაციო საბჭოსთვის 6 თვეში ერთხელ წარდგენა

სამოქმედო გეგმის 5.1 ამოცანის და 5.1.1 საქმიანობის შესაბამისად, რომელიც ეხება სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე ინფორმაციის შეგროვებას, აღსანიშნავია, რომ 2013 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა 2013-2014 წლების ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდული ანგარიში, სადაც წარმოდგენილი იყო თითოეული სამთავრობო უწყების მიერ სამოქმედო გეგმის დამტკიცებიდან 6 თვის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები, ხოლო 2014 წლის აპრილში საბჭომ გამოაქვეყნა მომდევნო 6 თვის პერიოდული ანგარიში, რომელიც ფარავდა 2013 წლის ოქტომბერი-2014 წლის მარტის საანგარიშო პერიოდს. სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდული ანგარებში ხელმისაწვდომია, ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე <http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/334>

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 23 ოქტომბერს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებოთაშორისო

საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ 2013 წლის 6 თვის ანგარიში წარუდგინა ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს. სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდული ანგარიში მოიცავდა 2013 წლის მარტი-სექტემბრის მონაცემებს (2013 წლის 15 მარტს დამტკიცდა სამოქმედო გეგმა).

ამასთან, 2014 წლის 13 იანვარს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ შუალედური ანგარიში წარუდგინა ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) წარმომადგენლებს. ასევე, „GRETA“-ს წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა 2013 წლის 5 დეკემბერს, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და მოწვეული ექსპერტები.

დამატებით, 2014 წლის ნოემბრის თვეში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მაკოორდინირებელმა უწყებამ, GRETA-ს წარუდგინა რეკომენდაციების შესრულების ანგარიში, რომელიც ფარავდა 2012-2014 წლებს.

გარდა ამისა, 2014 წლის 31 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მაკოორდინირებელმა უწყებამ, ადამიანით ვაჭრობის სფეროში სამთავრობო უწყებების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ერთწლიანი ანგარიში წარუდგინა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს.

5.2.1. სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის გაღრმავება სამოქალაქო საზოგადოებასთან (არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა) და რელიგიურ ორგანიზაციებთან

5.2.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, მემორანდუმების განახლება ან/და გაფორმება

სამოქმედო გეგმის 5.2.1. და სამოქმედო გეგმის 5.2.2. საქმიანობის შესაბამისად, რომელებიც ეხება სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობის გაღრმავებას სამოქალაქო საზოგადოებასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) სფეროში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობასა და მემორანდუმების განახლებას ან/და გაფორმებას, აღსანიშნავია, რომ ფონდი მჭიდროდ თანამშრომლობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ფონდსა და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის დადებულია შესაბამისი მემორანდუმები სერვისების მიწოდების თაობაზე (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მიგრაციის საერთაშორისო

ორგანიზაცია). ფონდმა 2014 წლის 1 ოქტომბრიდან უზრუნველყო შესაბამისი მემორანდუმების განახლება სერვისების მიწოდების თაობაზე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელთან და ქალთა საინფორმაციო ცენტრთან.

2013 წლის 2-3 ივლისს ქ. კიევში, სუამ-ის სამდივნოში გაიმართა ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სუამ-ის სამუშაო ქვეჯგუფის მორიგი სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც სუამ-ის წევრი სახელმწიფოების, ასევე უკრაინაში აშშ-ის საელჩოსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. მხარეებმა გაცვალეს ინფორმაცია ტრეფიკინგის სფეროში არსებული ოპერატიული მდგომარეობისა და სუამ-ის ქვეყნების კანონმდებლობებში არსებული ცვლილებების შესახებ. ასევე, დაიგეგმა ერთობლივი ანალიტიკური დოკუმენტების მომზადება.

2013 წლის 28-29 სექტემბერს ქ. სილნაღში, „საქართველოსა და თურქეთის სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის ოპერატიული კონტაქტების გაუმჯობესება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ საბრძოლველად“ პროექტის ფარგლებში, გაიმართა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საბჭოს სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. შეხვედრის განმავლობაში სამინისტროების წარმომადგენლებმა განიხილეს 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით მათი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები და მიმდინარე საქმიანობები. ასევე, შეხვედრის განმავლობაში უწყებებმა იმსჯელეს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის ხელისშემშლელ ფაქტორებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე.

2013 წლის 22-23 ნოემბერს ბაზალეთზე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს პროექტის – „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის მრავალდისციპლინარული მიდგომები“ – ფარგლებში ორგანიზებულ იქნა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ხუთმა პროკურორმა და შსს-ის ორმა წარმომადგენელმა. შეხვედრის ფარგლებში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მუშაობდნენ, ასევე, სახელმძღვანელო პრინციპებზე.

დამატებით 2014 წლის 27 თებერვალს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიას შორის ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში სამართალდამცავი ორგანოების პროფესიონალიზმის ამაღლების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის საკითხებში ჩართული სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა გადამზადებას, უნარ-ჩვევების განვითარებას და ამ მიზნით პროფესიული ტრენინგების ორგანიზებას. ამავე დროს, მემორანდუმის საფუძველზე შეიქმნა ე.წ. სპეციალისტების ჯგუფი (Task Force), რომელიც შედგება ტრეფიკინგის საქმეებზე მომუშავე მოქმედი 7 გამომძიებლისა და 5 პროკურორისგან, რათა პროაქტიულად გამოავლინონ, ეფექტურად გამოიძიონ და აწარმოონ სისხლისსამართლებრივი დევნა ადამიანით ვაჭრობის დანაშაულებზე. სპეციალისტების ჯგუფი კონცენტრირებული იქნება აჭარის რეგიონზე. ამასთან, სპეციალისტების ჯგუფი

უზრუნველყოფს თანამშრომლობას სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის და განავითარებს ტრეფიკინგის შემთხვევებზე მომუშავე სამართალდამცავი სტრუქტურების ქსელს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერების მიზნით 2014 წლის 27 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის მიზნით საინფორმაციო კამპანიის წარმოებაზე მიმართული საგრანტო კონკურსი. საგრანტო პროგრამა გულისხმობდა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გრანტის გაცემას ადამიანით ვაჭრობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. კონკურსის შედეგად გაიმარჯვა ა/ო „მიგრაციის ცენტრმა“, რომელმაც სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები (ბროშურების მომზადება და დარიგება, საინფორმაციო შეხვედრები, ფლეშმობი) განახორციელა აჭარის რეგიონში. ქ. ბათუმში. საგრანტო კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=4470>.

2014 წლის 25-26 იანვარს საბჭოს, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრისა“ და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანიზებით ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში გაიმართა პროკურორებისა და გამომძიებლების შეხვედრა სახელმძღვანელო პრინციპებთან დაკავშირებით. შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს მთავარი პროკურატურის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის, ქვემო ქართლისა და კახეთის პროკურატურის 8 პროკურორი და შსს-ის 6 წარმომადგენელი თბილისიდან და აჭარის რეგიონიდან. ამავე შეხვედრის ფარგლებში მიმდინარეობდა სამუშაო პროცესი საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის ლექტორებს, საბჭოს სამდივნოს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და იუსტიციის სასწავლო ცენტრის თანამშრომლებს შორის. მათ მიერ დაიგეგმა ტრეფიკინგის თემაზე ცნობიერების ამაღლების 2 ღონისძიება – იმიტირებული სასამართლო პროცესი და კონფერენცია.

5.3.1. პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის, ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით

სამოქმედო გეგმის 5.3.1 საკმეოანობის შესაბამისად თანამშრომლობა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს.

საერთაშორისო დონეზე ადამიანით ვაჭრობის თემაზე თანამშრომლობა საქართველოს საგამომიებო და საკონსულო ორგანოების მიერ ხორციელდება. კონკრეტულად კი, საქართველოს საგარეო უწყება აქტიურად თანამშრომლობს უცხო ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურებთან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ იტალიის რესპუბლიკაში დაფიქსირდა საქართველოს მოქალაქის მიმართ სავარაუდო ადამიანით ვაჭრობის ნიშნების შემცველი ფაქტი. აღნიშნული ინფორმაცია 2013 წლის 24 მარტს იტალიაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურმა მიიღო ინფორმაცია ქ. უდინეს პოლიციის ანტიკრიმინალური განყოფილებიდან. 2013 წლის 28 აპრილს საკონსულო სამსახურს ტელეფონით დაუკავშირდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი და მიაწოდა ინფორმაცია ქ. უდინეში იტალიელი დამსაქმებლის მიერ საქართველოს მოქალაქის დაშინებისა და მუქარის ფაქტებთან დაკავშირებით. საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურის ჩარევის შედეგად, იტალიის რესპუბლიკის ქ. უდინეს პოლიციამ მიიღო შესაბამისი ზომები – აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. თუმცა, გამოძიებამ არ დაადასტურა ტრეფიკინგის ფაქტი, რის შემდგომაც, საქართველოს მოქალაქე 2013 წლის მაისში დაბრუნებულ იქნა საქართველოში.

2013 წელს სავარაუდო ადამიანით ვაჭრობის ერთი შემთხვევა დაფიქსირდა ყატარის სახელმწიფოში. 2013 წლის 6 მაისს ყატარში საქართველოს საელჩოს მიმართა საქართველოს ორმა მოქალაქემ. მათი განცხადებით, ერთ-ერთმა შპს-მ ისინი გააგზავნა ყატარში სამუშაოდ, ხოლო შემდგომ ადგილობრივმა კომპანიის წარმომადგენლებმა ჩამოართვეს მათ პასპორტები და არ უხდიდნენ ხელფასს. საქართველოს საელჩომ საქართველოს მოქალაქეებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით შეხვედრები გამართა ყატარის შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან. საქართველოს საგარეო უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ყატარის კომპეტენტური ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად დამპირავებისაგან იძულების წესით ამოღებულ იქნა საქართველოს მოქალაქის პასპორტები. დამპირავებელს შესაძლოა, დააკისრონ საქართველოში გამოსამგზავრებელი ბილეთების შეძენა. 2014 წლის 29 აპრილს გაიმართა მორიგი სასამართლო პროცესი, სადაც განიხილულ იქნა საქართველოს მოქალაქეთათვის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების პროცესი. სასამართლო დავა ორიენტირებულია შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული გარემოებების დადგენაზე.

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა აქტიურად მიმდინარეობს სამართალდამცავ ორგანოებს შორის. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 1 აპრილიდან 2014 წლის 31 დეკემბრის საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავარი პროკურატურისა და შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრის მიერ პარტნიორ სახელმწიფოების შესაბამის უწყებებში, ტრეფიკინგის საქმეებზე მიმდინარე გამოძიებების ფარგლებში, გაგზავნილ და მიღებულ იქნა სამართლებრივი ურთიერთდახმარების შუამდგომლობები. ამასთან, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 2 პირის ექსტრადიცია თურქეთსა და ჰოლანდიაში.

სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ სტატისტიკური მონაცემები - დანართი #3.

გარდა ამისა, 2013 წლის 9-10 დეკემბერს ქ. კიევში გაიმართა ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სუამ-ის სამუშაო ქვეჯგუფის მორიგი სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლდოვას და უკრაინის სამართალდამცავი უწყებების შესაბამისმა წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე მხარეებმა გაცვალეს ინფორმაცია ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის მარეგულირებელ კანონმდებლობაზე, ოპერატიულ ვითარებასა და გატარებულ ღონისძიებებზე. მხარეთა გადაწყვეტილებით, 2014 წლის პირველ ნახევარში უნდა გაიმართოს ტრენინგები ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში რისკების

ანალიზისა და კრიმინალური ანალიზის თემაზე. ასევე, განხილულ იქნა აღნიშნულ სფეროში ერთობლივი ანალიტიკური დოკუმენტის მომზადების საკითხი.

დამატებით, 2014 წლის 10-11 ივნისს, ქ. ვილნიუსში გამართულ „აღმოსავლეთ პარტნიორობის მიგრაციისა და თავშესაფრის მადიებელთა პანელის“ ფარგლებში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2-მა თანამშრომელმა. შეხვედრაზე განხილულ იქნა ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხები, სახელმწიფოთა მიღწევები ამ პრობლემასთან ბრძოლის კუთხით და არსებული გამოწვევები.

საერთაშორისო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით 2013 წლის 4 ოქტომბერს საქართველომ მოახდინა სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ 1959 წლის ევროპული კონვენციის მეორე დამატებით ოქმის რატიფიცირება. აღნიშნული ოქმი საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2014 წლის 1 მაისიდან. ამასთან, ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის ევროპული კონვენციის მესამე დამატებით ოქმს ხელი მოეწერა 2014 წლის 14 აპრილს. აღნიშნული მიზნად ისახავს ექსტრადიციის პროცედურების გამარტივებას. დასახელებული დამატებითი ოქმის შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაციის მიზნით მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების მომზადება. 2014 წლის 19 მარტს საქართველომ მოახდინა „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2007 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის (ლანზაროტეს კონვენცია) რატიფიცირება. აღნიშნული კონვენცია საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2015 წლის 1 იანვრიდან.

გარდა ამისა, 2013-2015 წლებში საქართველომ გააფორმა ოთხი ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება და ერთი მემორანდუმი დანაშაულთან ბრძოლის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ფართოდ ეხება, ასევე, ტრეფიკინგის საკითხებზე სამართალდამცავთა საერთაშორისო თანამშრომლობას:

- 2013 წლის 26 სექტემბერს ქ. ვილნიუსში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას. აღნიშნული შეთანხმება ძალაში შევიდა 2015 წლის 14 იანვარს;
- 2013 წლის 18 ნოემბერს ქ. თბილისში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საჯარო უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას. აღნიშნული შეთანხმება ძალაში შევიდა 2014 წლის 14 სექტემბერს;
- 2014 წლის 24 იანვარს ქ. ლონდონში ხელი მოეწერა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ სააგენტოს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმს მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

- 2014 წლის 9 ივლისს ქ. ბერლინში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმისა და სხვა მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას;
- 2015 წლის 21 იანვარს ქ. მადრიდში ხელი მოეწერა „საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას.

აღსანიშნავია, რომ ამავე საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებების პროექტები მზადაა ხელმოსაწერად ჩეხეთის რესპუბლიკასთან და სლოვაკეთის რესპუბლიკასთან.

სამართლებრივი დახმარების სფეროში შეთანხმებების გაფორმების თაობაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს ბელგიასთან, საბერძნეთთან, ყატართან, საუდის არაბეთსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან.

თანამშრომლობა თურქეთის რესპუბლიკასთან

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს თურქეთის მხარესთან „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის უსაფრთხოების დარგში თანამშრომლობის შესახებ“ 1994 წლის შეთანხმების საფუძველზე შექმნილი ერთობლივი კომისიის ფარგლებში, რომლის შეხვედრები იმართება მონაცვლეობით საქართველოში და თურქეთის რესპუბლიკაში.

2013 წლის 21 მარტს, ბათუმში, მეოთხე ერთობლივი შეხვედრა გაიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებსა და თურქეთის ეროვნული პოლიციას შორის. მხარეებმა შეხვედაზე იმსჯელეს ტრეფიკინგთან, ტერორიზმთან და ნარკოტიკების არაკანონიერ ვაჭრობასთან ერთობლივ ბრძოლაზე, ასევე ხელი მოაზღვრეს ოქმს, სადაც გათვალისწინებული იყო მომავალი თანამშრომლობის გეგმა და მხარეების საკონტაქტო ინფორმაციები.

2014 წლის ივნისში, გაიმართა ერთობლივი კომისიის მე-V შეხვედრა თურქეთის რესპუბლიკაში. მხარეებმა შეხვედრაზე ერთმანეთს გაუზიარეს ტრეფიკინგის ეფექტურ გამოძიებასთან დაკავშირებული დაბრკოლებები და თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

2014 წლის 6 ივნისს გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასა და თურქეთის ეროვნული პოლიციის აკადემიას შორის. აღნიშნული მემორანდუმი მიზნად ისახავს ორ საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას და გამოცდილების გაზიარებას პოლიციელთა განათლების სფეროში.

მემორანდუმის ფარგლებში, მხარეებს შორის დაგეგმილია საერთო საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, სასწავლო ვიზიტების ორგანიზება, ინფორმაციის გაზიარება

სასწავლო კურსებისა და მეთოდოლოგიის შესახებ, თანამშრომლობა პოლიციის სფეროში სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად.

თურქეთი და საქართველო აქტიურად თანამშრომლობენ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში სამართალდამცავი კუთხით.

ორმხრივი თანამშრომლობა

შსს აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლიციის ატაშეებთან, რომელთა სამუშაო ოფისები მდებარეობს საქართველოში, ან ფარავენ საქართველოს სხვა ქვეყნებიდან. ამასთანავე, საქართველოს შსს თანამშრომლობს პოლიციის ატაშეებთან, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, პოლიციის ატაშეები დახმარებას უწევენ ერთმანეთს გამოძიებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მყისიერად და ოპერატიულად მოპოვებაში, ასევე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელს უწყობენ საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას და ა.შ.

პოლიციის ატაშეების ქსელის გაფართოების მიზნით, საქართველოს ატაშეები მსახურობენ: სომხეთში, ავსტრიაში, აზერბაიჯანში, ბელარუსიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, თურქეთსა (2 ატაშე) და უკრაინაში.

მიმდინარეობს მოლაპარაკება 2015 წელს გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში საქართველოს პოლიციის ატაშეს წარგზავნის შესახებ.

2014 წლის აპრილში და ივნისში ორი სამუშაო შეხვედრა გაიმართა საქართველოს და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენლებს შორის. განსახილველი საკითხების ერთ-ერთ თემას წარმოადგენდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა.

2014 წლის მაისში და ივნისში გაიმართა ორი სამუშაო შეხვედრა ავსტრიის კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლებთან, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განხილულ იყო ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი ღონისძიებების შესაძლებლობები.

რეგიონალური თანამშრომლობა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრის კომპეტენციაა GUAM, BSEC და SELEC –ის ფარგლებში თანამშრომლობა. GUAM-ის ფარგლებში თანამშრომლობას აღნიშნული ცენტრი უზრუნველყოფს თანამედროვე, უსაფრთხო ინტერნეტ-ქსელებით. თანამშრომლობის ფარგლებში, GUAM-ის წევრი ქვეყნების სამართალდამცავი უწყებები მართავენ ონლაინ კონფერენციებს და უსაფრთხო საკომუნიკაციო საშუალებებით გეგმავენ ერთობლივ ოპერატიულ ღონისძიებებს.

5.4.1. საბჭოს მიერ ტრეფიკინგთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა; სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება და საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა

2014 წლის მეორე ნახევარში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებატაშორისო საკოორდინაციო საბჭოს (*შემდგომში - საბჭო*) სამდივნომ დაიწყო მუშაობა 2015-2016 წლების ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგთან) ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტზე. საბჭოს მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის პროექტის პირველადი ვერსია დაეგზავნა საბჭოს წევრ უწყებებს, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავროვო ორგანიზაციებს. მათი შენიშვნები და კომენტარები ასახულ იქნა სამოქმედო გეგმის პროექტში, რომელიც დამტკიცდა 2014 წლის 14 ნოემბრის საბჭოს სხდომაზე.